# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცყუილობით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 12 იანვარი, 2012 წელი.

№7 (6884)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ეკატერინე ხვედელიძე პარტიის შექმნას გეგმავს



②

## დრო ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობს

## „მეშინია, ბატონო, არ გაგისკდეს მუცელი“...

③



## სად მივყავართ რკინიგზის ლიანდაგს და ხელფასებს...

⑥

## ...გონივრული ეჭვი და ნოტარიუსობამდე დამცრობილი მოსამართლე

④



ნოემბრის კარიკატურა



ცივი ომის პირობებში

## ჩაივლი მტკვართან ხეივანს?..

⑤

SIC!

# ეკატერინე ხვედელიძე პარტიის შექმნას გეგმავს

**ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე, მოქალაქეობის აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ, პოლიტიკური პარტიის შექმნასა და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს , — ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ იურისტთა ჯგუფის ადვოკატმა, არჩილ კბილაშვილმა განაცხადა.**

მისი ინფორმაციით, ეკატერინე ხვედელიძემ მოსამართლეს იმ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თხოვნით მიმართა, რომლის თანახმადაც, მას საქართველოს მოქალაქეობა აღუდგა.

კბილაშვილის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება, ჩვეულებრივ, მაშინვე ძალაში არ შედის, რადგან ვიდრე ზემდგომ ორ ინსტანციაში გასაჩივრების ვადები არ ამოიწურება, გადაწყვეტილება კანონიერ ძალას ვერ შეიძენს.

„თუმცა, არის გამონაკლისი, როდესაც განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, პირს შეუძლია, მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს და სთხოვოს, გადაწყვეტილების ესა თუ ის ნაწილი მიაქციოს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად“, — განაცხადა კბილაშვილმა და დასძინა, რომ სწორედ ამ უფლებით ისარგებლა ეკატერინე ხვედელიძემ.



ადვოკატმა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნის მოტივაციად მიმდინარე წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები და ეკატერინე ხვედელიძის მასში მონაწილეობის სურვილი დაასახელა.

„წინ არჩევნები გველოდება, შესაბამისად, მოსამართლისადმი გაგზავნილ ეკატერინე ხვედელიძის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მას სურს პოლიტიკური პარტიის შექმნა და პარტიის მეშვეობით კენჭისყრა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. ამ უფლებათა რეალიზებას ვერ შეძლებს, თუ გადაწყვეტილება, მისთვის მოქალაქეობის აღდგენის ნაწილში, დაუყოვნებლივ არ აღსრულდება. ეს არის განსაკუთრებული გარემოება, რადგან თუ მოქალაქეობის აღდგენის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ არ აღსრულდება, 2013 წელს უკვე მოკლებული იქნება რეალურ შინაარსსა და დატვირთვას, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე განმარტებით, განცხადება 5 იანვარს შევიდა და მოსამართლე ამ საკითხს წყვეტს მანამ, ვიდრე საქმე მასთან რჩება.

„საქმე კი მოსამართლესთან დღეიდან 2 კვირის განმავლობაში რჩება, რადგან 27 დეკემბრის გადაწყვეტილება მოქალაქეობის აღდგენის შესახებ გუშინ ჩაგვბარდა და მისი გასაჩივრების ვადაც გუშინდელი დღიდან აითვლება“, — განმარტა კბილაშვილმა.

იურისტების განცხადებით, ორი კვირის ვადაში მოსამართლის დადებით პასუხს ელოდებიან ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან 27 დეკემბრის გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებას.

თქვენ ეს გაინტერესებთ!

**ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების შემდეგ მასში მოქალაქეთა ერთი ნაწილი გაწევრდა. როგორც მოძრაობის მხარდამჭერები ამბობენ, „ქართულ ოცნებაში“ გაწევრებისას შესაბამისი სარეგისტრაციო ბლანკი შეავსეს, სადაც ტელეფონის ნომერიც მიუთითეს იმ იმედით, რომ მოძრაობაში მოქმედი მათ მიერ არჩეული თემატური ჯგუფიდან ვინმე თანამშრომლობის მიზნით დაუკავშირდებოდა. როგორც ირკვევა, ასეთი რამ არ მომხდარა და ადამიანები, რომლებმაც ზემოხსენებული ბლანკები შეავსეს, „ქართული ოცნების“ წევრები მხოლოდ ქაღალდზე არიან.**

**„ქართული ოცნების“ წევრები აღნიშნულის გამო უკმაყოფილებას უკვე ღიად გამოხატავენ, როგორც სოციალურ ქსელებში, ასევე პირად საუბრებშიც.**

**რას უკავშირდება ეს გაუგებრობა? — ამ კითხვით „მედიანიუსმა“ „ქართული ოცნების“ თემატური ჯგუფების კოორდინატორს, მაია ფანჯიკიძეს მიმართა:**



## მაია ფანჯიკიძე:

# ძალიან მალე მოხდება ის, რასაც ჩვენი მხარდამჭერები მოელიან

— „ქართული ოცნება“ დაფუძნდა 2011 წლის 11 დეკემბერს, ანუ მოძრაობის დაფუძნებიდან ერთი თვე შესრულდე. წევრების რეგისტრაცია დაიწყო მოძრაობის დაფუძნების დღიდან, ვისაც მოძრაობის მხარდამჭერად დარეგისტრირება სურდა, ამის საშუალება ჰქონდა ჯერ ფილარმონიაში და ეს პროცესი შემდეგ „ქართული ოცნების“ ოფისშიც გაგრძელდა. ჩვენ მადლობელი ვართ ყველა იმ ადამიანის, ვინც მოვიდა და მოძრაობას მხარდაჭერა გამოუცხადა. ჩვენ მათ ვთხოვეთ, რომ შეევსოთ სარეგისტრაციო ბლანკი, რომლის მეორე გვერდზეც არის ჩამონათვალი იმ თემატური ჯგუფებისა, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ მუშაობს და მათ შეეძლოთ თავისი სურვილის დაფიქსირება, თუ რომელი დარგობრივი მიმართულების საქმიანობაში ერჩივნათ მონაწილეობა. ალბათ, წარმოგიდგენიათ რამდენი ადამიანი მოვიდა, საუბარია ათასობით მხარდამჭერზე. მათ შეავსეს ბლანკები და შემოხაზეს ის ჯგუფები, რომლებიც აინტერესებდათ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ერთ თვეში, რაც მოძრაობამ მუშაობა დაიწყო, რამდენიმე დღესასწაული დაემთხვა, სამუშაო დღეებიც შემცირდა. ჩვენ ახლა ვართ ამ ინფორმაციისა და მონაცემების დამუშავების პროცესში. შემოსული სარეგისტრაციო ბლანკები უნდა შევიყვანოთ მონაცემთა ბაზაში და შემდეგ ცხრა თემატური ჯგუფის მიხედვით დაინტერესებულ პირთა სიები ჩამოვაყალიბოთ. ეს ყველაფერი ასე სწრაფად ვერ ხერხდება. მოძრაობაში გაწევრების ძალიან ბევრ მსურველსა და შესაბამისად, დიდი მოცულობის მასალასთან გვაქვს საქმე. ცოტა დრო გვჭირდება. ალბათ, ძალიან მალე მოხდება ის, რასაც ელიან ჩვენი მხარდამჭერები, დავუკავშირდებით და საჯარო შეკრებებში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვევთ. ამჟამად თემატური ჯგუფები, რასაკვირველია, მუშაობენ. მადლობელი ვართ გამოხმაურებისა და შემოსული წინადადებების გამო. სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებულ თემატურ ჯგუფებში სამუშაოდ ყველას ვეპატიჟებით, მაგრამ რიგითი წევრების მუშაობის ფორმატი, რა თქმა უნდა, განსხვავებული იქნება იმისაგან, რასაც დარგის სპეციალისტები აკეთებენ. რიგითი წევრების ფუნქცია აუცილებლად განისაზღვრება.

**— მიიღებენ თუ არა ანაზღაურებას „ქართული ოცნების“ რიგითი წევრები?**

— არა და მეტსაც გეტყვით, თემატური ჯგუფების სპეციალისტებიც კი არ იღებენ ხელფასს. ის საქმიანობა, რასაც ისინი ეწევიან, მხოლოდ სურვილსა და ენთუზიაზმს ემყარება. ამ ადამიანებს სურთ, თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს სამომავლო განვითარების კონცეფციის შექმნაში. როგორც უკვე გითხარით, არც ერთი სპეციალისტი ხელფასს არ იღებს და მით უმეტეს, რიგითი წევრები ანაზღაურებას ვერ მიიღებენ.

**— თქვენ ამბობთ, რომ მოძრაობის წევრები ხელფასებს არ იღებენ, „ქართული ოცნების“ საიტზე გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშში კი დაფიქსირებულია, რომ თანამშრომლების ხელფასებზე 145105,26 ლარია დახარჯული..**

— მე ვამბობ, რომ თემატური ჯგუფების წევრები, ანუ ის სპეციალისტები, ვინც კონცეფციებზე მუშაობენ, არ იღებენ ხელფასს. თორემ ისე, თანამშრომლები უხელფასოდ...

**— კონტროლის პალატამ განაცხადა, რომ ფინანსური ანგარიშების წარმოდგენისათვის „ქართულ ოცნებას“ გონივრული ვადა განესაზღვრებოდა, რამდენი დღე მოგეცათ ამ დოკუმენტის მომზადებისათვის?**

— „ქართულ ოცნებას“ კონტროლის პალატის მიერ „გონივრული ვადა“ უკვე განესაზღვრა, ბრძანებში იმიტომ, რომ ეს ვადა მხოლოდ 3 დღე აღმოჩნდა. „ქართულ ოცნებას“ ყველა ფინანსური დოკუმენტი წესრიგში აქვს, ეს მასალები განთავსებულია მოძრაობის ოფიციალურ საიტზე და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

**— გადაუგზავნეთ თუ არა ანგარიში კონტროლის პალატას?**

— ფინანსური საკითხები მე არ მეხება, ჩემი ინფორმაციით, წარდგენილი არ არის, მაგრამ ვებგვერდზე საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საზოგადოებრივი მოძრაობა

# დრო ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობს

**მოძრაობა „ქართული ოცნების“ იურისტთა ჯგუფმა ზაქარია ქუცნაშვილის, არჩილ კუბლაშვილისა და სანდრო ბარამიძის წარმომადგენლობით, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ მორიგი პრესკონფერენცია გამართა.**

**კიდევ ერთხელ გასაჯაროვდა ის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება.**

იურისტებმა სამ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილეს ყურადღება. ესენია: ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი და საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ირგვლივ ატეხილი დავა.

ადვოკატ ზაქარია ქუცნაშვილის განმარტებით, მათ 5 იანვარს მიმართეს სამოქალაქო რეესტრს ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით. მაგრამ სამოქალაქო რეესტრმა საფრანგეთის მთავრობისაგან, რომლის მოქალაქედაც ამჟამად ითვლება ბატონი ბიძინა მოითხოვა საბუთები და ცნობა.

ზაქარია ქუცნაშვილმა პირადად წაუკითხა ჟურნალისტებს საფრანგეთის მთავრობის ცნობა, სადაც წერია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა მანამდე არ შეუწყვეტს მოქალაქეობას ბიძინა ივანიშვილს, სანამ საქართველოს მთავრობა მას მოქალაქეობას არ მისცემს. არჩილ კბილაშვილმა აქვე განმარტა, რომ პრეზიდენტის მე-80 ბრძანებულებით, სააკაშვილს 44 დღე დარჩა ბიძინა ივანიშვილსთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.



მართალია, ეკატერინე ხვედელიძეს აღუდგა საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ჯერ არ არის სისრულეში მოყვანილი. არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ 5 იანვარს ეკატერინე ხვედელიძემ, ასევე მიმართა მოსამართლეს თხოვნით, რომ მის მიერ გამოტანილი განაჩენი აღასრულოს, სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის მინიჭება ბუტაფორიაა და მეტი არაფერი. თუ მოსამართლე დროულად არ აღუდგენს ეკატერინე ხვედელიძეს საქართველოს მოქალაქეობას სრულად, მას მთელი 2012 წლის განმავლობაში არ ექნება უფლება ისარგებლოს საქართველოს მოქალაქის სტატუსით, მით უმეტეს, რომ ეკატერინე ხვედელიძეს სურს პოლიტიკური პარტიის შექმნა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ადვოკატთა ვარაუდით, 2 კვირის განმავლობაში მოსამართლემ აუცილებლად უნდა გამოიტანოს განაჩენი — ან დათანხმდეს ან არა მოქალაქეობის აღდგენის საკითხს.

გასული წლის ბოლოს ხელისუფლებამ დამატებითი ცვლილებები შეიტანა კანონში პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსებასთან დაკავშირებით. კონტროლის პალატის წარმომადგენელმა ნათია მოგელაძემ „ქართულ ოცნებას“ მოსთხოვა, წარედგინა ხარჯების ანგარიში, ნათია მოგელაძის განმარტებით, ეს მოთხოვნა ეფუძნება იმას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა საკუთარი პოლიტიკური მიზნები და ამოცანებიო. ადვოკატ სანდრო ბარამიძის განმარტებით, ეს მოსაზრება არასწორია, რადგან „ქართული ოცნება“ არ არის პოლიტიკური მიზნების მატარებელი ორგანო, არამედ საზოგადოებრივი მოძრაობაა, აქედან გამომდინარე კონტროლის პალატის მოთხოვნაც უსაფუძვლო და უკანონოა. იმის მიუხედავად, რომ „ქართული ოცნება“ საკუთარ თავს პოლიტიკურ ორგანოდ არ მიიჩნევს, მაინც წარუდგინა კონტროლის პალატას გაწეული ხარჯები და ფინანსების ანგარიში. ამჯერად ადვოკატები პირიქით სთხოვენ კონტროლის პალატას, რომ 3 დღის ვადაში ეს ინფორმაცია საჯარო გახადოს.

**ლია გრიგოლია**

„მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა...“

# „მეშინია, ბატონო, არ გაგისკდეს მუცელი“...

**შობის დღესასწაული წყალტუბოელებს ახალი კლინიკის გახსნით მიულოცა. მანამდე მარნეული იყო, შემდეგ — გურია, მცხეთა... ყველგან „ევროპული სტანდარტის“ თანამედროვე კლინიკა გახსნა. მართალია, ევროპისგან განსხვავებით, ქართულ კლინიკებში ხშირად, თანამედროვე სამედიცინო აპარატურა ჩამოტარებითაა და ლენტის გაჭრიდან რამდენიმე საათში ისე აქრობენ, თითქოს არც არაფერი ყოფილა, მაგრამ ეს არაფერი, წინ უამრავი ტურნეა — არჩევნებამდე 100 ახალი საავადმყოფოს გახსნა უნდა მოესწროს და ესაა მთავარი.**

და კიდევ, მთავარია ის, როგორ ხვდებიან მიხეილ სააკაშვილს ყველა რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მობილიზებული „ტაშისმკვრელები“. კარგია თუ — ცუდი, ფაქტია, სააკაშვილის ყოველი ტურნე რეგიონებისთვის ერთი დღეა სასწაულისა.

სასწაულია აბა რა, როცა შენი სტუმრობის წინ ტყეში ნადირს ავლებენ მუსრს და ცაში — ფრინველს, შენ კი ამ ყველაფერს იმდენად მცირე დროში შეგიძლია მუსრი გაავლო და თან, სტომაქში რამდენიმე ბოთლი ლიმონათიც სულმოუთქმელად ჩაიცალო, რომ შენმა დაცვამ არა თუ დანაყრება, სუფრასთან მოკალათებაც ვერ მოასწროს. მერე კი ისე წამოხტე სუფრიდან, რომ პირდაფჩენილმა ადგილობრივმა მოკვდავებმა იმის გააზრებაც ვერ მოასწრონ, რა უბედურება დატრიალდა მათს თავს.

მოკლედ, მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო ყველა ტურნე გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს და თვითმხილველებიც ერთსა და იმავე ამბებს ყვებიან.

დღევანდელი ჩვენი რესპონდენტიც წყალტუბოში ერთი ასეთი ტურნეს თვითმხილველია. ვერ შეგპირდებით, რომ მის ვინაობას გაგიმხელთ, იმიტომ, რომ ეს, ჩვენი მხრიდან, დანაშაულის ტოლფასი იქნება და იმედია, „მედიაეთიკოსები“ შეგვინდობენ ცოდვას.

ნურც იმას იკითხავთ, როგორ შევძლებთ, დამაჯერებლობა შევძინოთ ანონიმურად მოყოლილ ამბავს, რადგან იმაზე უფრო დიდი მტკიცებულება, ვიდრე ამ რამდენიმე ხნის წინათ მიხეილ სააკაშვილის გურიაში სტუმრობა იყო (ალბათ, გახსოვთ თეატრალური რეკვიზიტებით განწყობილი გურული ოდაძ, არ მოგვეძევება.

ასე რომ, დაპირებისამებრ გთავაზობთ ერთი წყალტუბოელი ადამიანის მონაყოლს და უნდა დაიჯეროთ თუ არა, თავად გადაწყვიტეთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სტატიის ბოლოს, სტუდია GNS-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტს თვალს კიდევ ერთხელ გადაავლებთ, აი იმას, გურულებზე, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით.

მაშ ასე, ახლა კი ამბავი:

— მიხეილ სააკაშვილი წყალტუბოს შობა-დღეს სტუმრობდა. ახალი საავადმყოფო გახსნა. უფრო სწორად, ძველი გარემონტდა თანამედროვე დონეზე.

**— საავადმყოფო კარგად არის გაკეთებული?**

— კი, ნორმალურად არის გაკეთებული, მაგრამ სამედიცინო დანადგარები, როგორც იცით, ერთი რაიონისთვის აქვთ ნაყიდი და როგორც ყველა რაიონში ხდება, საავადმყოფოს გახსნისთვის მოიტანეს, დაალაგეს, გვაჩვენეს, რომ მუშაობს და მერე მოხსნეს და სხვა რაიონის საავადმყოფოსთვის წაიღეს. მარტო საწოლებს ტოვებენ, სხვა, რაც სერიოზული და ძვირფასია, თან მიაქვთ.

**— წყალტუბოდანაც უკვე წაიღეს?**

— კი, მოაქვთ და მიაქვთ... გადაუღებენ და წაიღებენ, ყველგან ასე ხდება... ხაშურშიც იგივე გააკეთეს, საავადმყოფო რომ გაიხსნა, რამდენიმე წუთის მერე აღარაფერი დატოვეს, ყველაფერი გაიტანეს.

**— ავადმყოფებიც ხომ არ მოყავთ და მიყავთ?**

— ავადმყოფები ალბათ, საწოლებზე დარჩნენ... თუ იმათაც არ დაარბენინებენ აქეთ-იქეთ. მოკლედ, ასე გახსნეს საავადმყოფო, ხოლო მერე ლტოლვილებისთვის აშენებული რამდენიმე კორპუსიც დაათვალიერეს. წყალტუბოში ეს ადგილი ჭაობის სახელწოდებით არის ცნობილი, რადგან ადრე, იქ სილოსი მოყავდათ, წყლიანი ადგილია. ახლა კი კორპუსები ჩადგეს და ხალხმა უნდა იცხოვროს სინესტეში და უბედურებაში. წყალტუბო წვიმიანი ადგილია, ერთი წვიმა და ყველაფერი დაიტბორება. დაახლოებით ისე გააკეთეს, რაც ე.წ. გეტოში — წეროვანში.

**— ის ხალხი ვინ იყო, ვინც სააკაშვილს შეეგება?**

— ნაწილი წყალტუბოელები იყვნენ, ნაწილი სხვა რაიონებიდან ჩამოიყვანეს. ხალხი ძირითადად, მობილიზებული ყავდათ სკოლებიდან — მოსწავლეები და მასწავლებლები. ყველა მასწავლებელი გააფრთხილეს, არმისვლის შემთხვევაში, სამსახურს დაემშვიდობებოდნენ. ისინიც იძულებულები იყვნენ, მისულიყვნენ. ცალკე ჰყავდათ რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მიშას უნდა დახვედროდნენ. სიტყვაც წინასწარ იყო შეთანხმებული და ისიც განსაზღვრული იყო, კისერზე ვინ ჩამოეკიდებოდა და რას ეტყოდა. ერთ-ერთი, ვინც მიშას შეეგება, შუა ხნის მამაკაცია, ყოფილი ცეკვის მასწავლებელი, რომელსაც „შრომა“ რამდენიმე წუთში დაუფასეს და სახლში თანამედროვე ტექნიკა აუტანეს, პლაზმური ტელევიზორი და რაღაც-რაღაცები.

**მაგრამ ყველაზე მეტად წყალტუბოელებს, ალბათ, პრეზენტაციის დასკვნითი ნაწილი დაამახსოვრდებათ. მოკლედ, სახელისუფლებო ტელევიზიებმა მიშას ვიზიტი რომ გადაიღეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დიდი ღრეობა გაიმართა, რესტორანში 80 კაცზე გაიშალა სუფრა. სუფრა იყო ძალიან მაღალი დონის, რა თქმა უნდა, იმერლები თავს არ შეირცხვენდნენ და საირმის ტყეებში ნანადირევი შვლის მწვადებიდან დაწყებული, დათვის ხორცის მწვადებით დამთავრებული ყველაფერი იყო. ბატონი პრეზიდენტიც იქ ბრძანდებოდა და რამდენიმე წუთის განმავლობაში, ორი ხელით და ათი თითით მოასწრო დანაყრება. იმ რამდენიმე წუთში მოასწრო და მინიმუმ ოთხი, მაქსიმუმ ხუთი ბოთლი ლიმონათი პირდაპირ ბოთლიდან მუცელში ჩაიპირქვავა უჭიქოდ.**

თუმცა, „ქეიფი“ სულ რამდენიმე წუთი გაგრძელდა. ხალხი გაკვირვებული უყურებდა პრეზიდენტს. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ საკუთარი დაცვა, რომელიც თან ახლდა პრეზიდენტს, ის-ის იყო, სუფრას უნდა მისხდომოდა, რომ მიშა უცებ წამოხტა და გაიქცა. დაცვაც იძულებული გახდა, გაქცეულიყო და ხალხს ყველაზე მეტად ისინი შეეცოდა. ჯერ იყო და, მთელი დღე უკან დასდევდნენ და მერე, დაღლილ, მშიერ ხალხს ჭამაც არ აცალა. იქ დარჩენილ ნაციონალებს, გამგეობის წევრებს, ქალაქის საპატიო მოქალაქეებს შორის ეს ამბავი შაყირის საგანი გახდა. ასე დამთავრდა წყალტუბოში მიშას სტუმრობა და, როგორც იტყვიან, ბოლოს კრება დარჩა მხიარული.



**— თავად წყალტუბოელებს როგორი განწყობა აქვთ?**

— ძალიან დიდი იმედით ელოდებიან, რომ ამ ქვეყანაში რაღაცა შეიცვლება. ის განწყობა, რაც ეკრანებზეა, ხელოვნურია. რა თქმა უნდა, აქა-იქ მიშას მხარდამჭერები ჰყავს, მაგრამ ისინი აბსოლუტურ უმცირესობაში არიან. მეტსაც გეტყვით, წყალტუბოში დღეს სირცხვილია, რომ ვინმემ ხმამაღლა გამოხატოს მიშას მიმართ მხარდაჭერა. უბრალოდ, ხალხი მუშაობს და მასზე აუგი ხმამაღლა რომ თქვან, სამსახურებს დაატოვებინებენ. წყალტუბო ძალიან ღარიბი რაიონია, სულ ტყუილია, რომ ამბობენ, სასტუმრო გაიხსნა, ტურისტები ჩამოდიან და აყვავდა ქალაქიო, არაფერი ეგეთი იქ არ ხდება. წყალტუბოში ერთი სამხედრო სანატორიუმი იყო, რომელიც ნგრევის პერიოდში როგორღაც შეინარჩუნეს და მაშინაც კი ფუნქციონირებდა. დღეს ეს სანატორიუმი მხოლოდ შეაკეთეს, ავეჯი გამოცვალეს. გარდა ამისა, აპირებენ ცნობილი მეშახტეთა სანატორიუმი გაარემონტონ, რადგან როცა პარლამენტი ქუთაისში გადავა, დეპუტატებისთვის გამოყონ საცხოვრებლად.

**გვანცა გიორგობიანი**

Presage.tv

საშობაო ქრონიკა

# ორიოდ სურათი, ანუ ეპიზოდი პრეზიდენტის ცხოვრებიდამ

### შესავლის მაგიერ

**საშობაო არდადეგები, ჩვენი დინამიკური პრეზიდენტისგან განსხვავებით (გახსოვთ, ალბათ, ჟიულ ვერნი — „ნაუტილუსი“, კაპიტანი ნემო და იმისი დევიზი „მოძრავი მოძრავში“...), მე, სტატისტიკურმა, შინ გავატარე (ვაჟაც გემახსოვრებათ რომლის მცირედი გარდათქმით, — დავჰბერდი, ძალი დავკარგე, ფეხებსა ვხმარობ ველარა...) და ტელევიზორის საშუალებით „ვეკონტაქტებოდი“ ჩემი ბინის გარე სამყაროს. ეს ჩანაწერებიც „ტელევიზორისეულია“.**

### რა ყოფილა აუ, ბელა, ნახეთ, მიშას რა უყელა?

ბელა ხოსიტაშვილს ვგულისხმობ, ქალბატონს გარდაბანიდან, სადაც ახლა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ (მე ვარ!ძ, ბავშვმაც კი იცის, ვინ არის ბელა. ამ მამაცმა მანდილოსანმა უგულებელყო არცთუ დიდი ხნის წარსულის სამწუხარო მაგალითი, როცა სხვა ქალაქში, სხვა ქალბატონი არამცთუ არ მიუშვა პრეზიდენტთან თხოვნის გადასაცემად დაცვამ, არამედ თურმე თმებითაც გაათრია და სასტიკად გალახა (მოერივნენ, ყოჩაღი მცველები სუსტი სქესის წარმომადგენელს, იმას კი ვერ გეტყვით, „ეს რომ ზაალმა გაიგო, ქოშები უკუჰყარა“ თუ არა); უგულებელყო და მოახერხა გარდაბანში ხალხში გამოსული მომლიმარი მაღალისათვის ბარათის გადაცემა.

შემდგომ ყველაფერი კაი სცენარით წარმართულა: მარადჟამს ქვეშევრდომებზე მზრუნველ მიხეილ-ბატონს ავტომანქანაშივე წაუკითხავს წერილი, წაკითხულთან შესაბამისობით, იქიდანვე გაუცია განკარგულებები და ორიოდ დღეში გარდაბანში სპეციალურად ჩაბრუნებულა დავალების შესრულების შესამოწმებლად.

ეს ყველაფერი თავისივე ენაპირით გვიამბო მაღალმა, ხოლო დანარჩენს ჩვენი თვალყურით ვუცქირ-ვუსმინეთ; პრეზიდენტმა სასწრაფოდ მოგვრილი ბელა ხოსიტაშვილის თანდასწრებით წაგვიკითხა ის უსტარი, იმისგან მონაღვაწევი: კი, შესანიშნავი საავადმყოფო გაგვიხსენით, ოღონდ იქით მიმავალი გზა და განათება „მოიკოჭლებსო“; სკოლაში წასული ბავშვები ყელამდე ტალახში ისვრებიანო და სხვა. რასაკვირველია, გარდაბანში მიბრუნებულ პირველს ეს ნაკლოვანებანი ორ დღეში მოგვარებული დახვდა, კიდევ ერთხელ მიეცა „დაპირებებს ყოველთვის ვასრულებო“ თქმის საფუძველი და მოულოდნელი ბედნიერებისაგან გაცისკროვნებული ბელასაგან ყელამდე მადლობით ავსებაც შეერგო...

ტელეეკრანიდან ვერ მომართვეს, მაგრამ ეგებ გაზეთის ფურცლებიდან მაინც მომეცეს ერთი განცხადების საშუალება: ნეტავ იმ ქვეყანას, სადაც მთაში ანდა ბარში, ბორჯომსა თუ გარდაბანში, პატარა გზისა და განათების გამოსწორებას პრეზიდენტის ჩარევა დაჭირდება! ნეტავ იმ ადგილობრივ ხელმძღვანელებს, ვინც ამგვარ რამეებს უპრეზიდენტოდ ვერ აკეთებენ და კიდევ, აქვე სათქმელად: ნეტავ ეს უკანასკნელნი „ჩამშვებ“ ქალბატონს ბღვერას ხომ არ დაუწყებენ?.. თუმცა ეს ყოველი ეგებ მართლაც კაი სცენარით იყო გაწერილი — ქალაქის, ქალბატონის, გამოსამზეურებელი „საქმის“ შერჩევითა და გამომზეურებით. არჩევნების წელს „ნამეტნავად“ გახალხოსნებულ-გააქტიურებული უმაღლესი პირისაგან რაა გასაკვირველი...

### „თავნასახელევი“ მხოხავად, არ გაარწივდება, ოხ, არა!..

მომიტევოს ქუთაისმა, მაგრამ ამ დიდებულ ქალაქს კი არ ვერჩი, ქვეყნის პრეზიდენტს ვერჩი, რომლის ხუშტურხმევითაც (ძალისხმევას ეს ხელოვნური სიტყვა ვამჯობინეძ შემორჩენილ საქართველოში ქუთაისის ხანა დააყენეს და იმისი გაუგებარი, აუხსნელი გადედაქალაქებისაკენ მიჰყავთ საქმე: აისია თუ დაისი, სულ გახსოვდეთ ქუთაისი...

ახლაც საშობაო ლიტურგიაზე დასწრება ქვეყნის უმაღლესმა პირმა (ხელისუფალთა შორისაც მართლაც ყველაზე მაღალმა თუ გრძელმაძ ქუთაისში, გელათის ტაძარში მოინება, რითაც, როგორც მე წამომეჩვენა, სავარდო და სამაისოსთვის დამატებით პოლიტიკური ქულების შეძენა ჩაიფიქრა: თუმცა, როგორც გამოირკვა, სხვა სცენარიც ყოფილა გაწერილი წინასწარ: ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსის კალისტრატეს ხელით პრეზიდენტისათვის დავით აღმაშენებლის წმინდა ხატის ჩუქების ცერემონიალი.

ქლესაობა, პირმოთნეობა, ფრაკში შეძრომა ყველასაგან, ბოდიში და, გულისამრევია, სასულიერო პირისაგან კი ორმაგადაც და საკითხავია, ქუთათელ ეპისკოპოსს რაში დასჭირდა ქება-დიდებით ცაში აყვანა მიხეილ-ბატონისა? თანაც მარტო ქება-დიდებით კი არა, „პირდაპირაც“ აყვანა: მაღლა აჭრილი არწივი ხარო, რომელიც მარტო საართველოს კი არ დაჰყურებს თავზე, არამედ იმის მომავალსაცო.

მე კი, ინტრიგანი რომ ვიქნები კაცი, შევცქეროდი ტელევიზორს და მწარედ ვფიქრობდი — გორის მრავლისმომსწრე მიწაზე ლაჩრულად მხოხავი კაცი ამ სამ წელიწადში გაარწივდა და აიჭრა ცაში-მეთქი? თან წყეული მეხსიერებიდან მაქსიმ გორკის „სიმღერა შევარდენზე“ წამომაგონდა: Рождённые ползать летать не умеют...

ჰოდა, ასე დავამთავრებ: ცოცხლად რომ დავიწვა, მაინც ასე გავწივი — მას ვერ ვიტყვი არწივად, ვინც არ არის არწივი...

**ბერდია ბედოიძე**

## „ნულოვანი ტოლერანტობის“ შედეგები

# ...გონივრული ეჭვი და ნოტარიუსობამდე დამცრობილი მოსამართლე

**14 წლის გიორგი მერმანიშვილი იმ დროს დააკავეს, როდესაც მეზობლის ეზოდან უნებართვოდ აღებული ეტლით მცირეწლოვან ძმას სოფლის ორღობეში ასეირნებდა. ბრალმდებელმა მოზარდისათვის 5 წლით პატიმრობა მოითხოვა. გულმოწყალე მოსამართლემ არასრულწლოვანს 5 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. როდესაც მართლმსაჯულება მიხვდა, რომ მერმანიშვილები ამ თანხას ვერ შესწვდებოდნენ (მამით ობოლი, ორი მცირეწლოვანი ძმა, ინვალიდი და, უმუშევარი დედა), ნიხრი 2 ათასამდე დასწიეს. ესეც ვერ შესძლეს. მაშინ „ნულოვანი ტოლერანტობის“ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეუვალმა სასამართლომ არასრულწლოვან მერმანიშვილს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. და ეს მოხდა მაშინ, როდესაც დაზარალებულად მიჩნეული მეზობელი საჩივრის უკან გამოტანას აპირებდა.**

### განრიდებული პროგრამა

განრიდების პროგრამის არსია, შედარებით მსუბუქი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლის დევნა არ განხორციელდეს. პროგრამა წარმატებით მუშაობს აშშ-ში, ინგლისში, სხვა მოწინავე ქვეყნებში. ამ შემთხვევაში პროკურორის მიზანია არა ის, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩასვას, არამედ ის, რომ დანაშაულის ჩამდენს (თუ ის კრიმინალური წარსულის არაა და დანაშაული მსუბუქიაძ, აპატიოს — გვიხსნის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი გიორგაძე.

მიესაჯოს თუ არა სასჯელი დამნაშავეს, პროკურორის გადასაწყვეტია. გადაწყვეტილება წმინდა იურიდიული ნორმებით კი არ ხდება, არამედ ინდივიდუალური შეფასებით, შინაგანი რწმენით. აქ ბრალმდებელი და მსაჯული ფსიქოლოგებიც უნდა იყვნენ. რადგანაც მათ უნდა გადაწყვიტონ, ჩაიდენს თუ არა მომავალში განსასჯელი დანაშაულს. მაგრამ ჩვენში ხომ მოსამარათლის შინაგანი რწმენა იგნორირებულია. ძალაშია ზარი ზემოდან. წამყვან ქვეყნებში განრიდების პროგრამა საჯარო და გამჭვირვალეა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შერჩევითობა, სუბიექტივიზმი.

განრიდების პროგრამა ჯერ მხოლოდ არასრულწლოვანებში მოქმედებს, წელს ის ზრდასრულებთანაც იმუშავებს. აქ კი უფრო მძიმე შემთხვევებთან გვექნება საქმე — ვარაუდობენ იურისტები.

### გამოსყიდვის ბატონყმური წესები

სპეციალისტების, ადამიანის უფლებათა დამცველების განცხადებით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 60 პროცენტი ნასამართლევია, ხოლო 40 პროცენტი პრობაციონერია. სასჯელისგან განთავისუფლებულ პირს (პირობით მსჯავრდებულსაცძ, პრობაციონერობა ელის, იგი ვალდებულია სასჯელის სიმძიმიდან გამომდინარე პრობაციის სამსახურში გამოცხადდეს წინასწარ შეთანხმებული კვირის დღეებში და დაადასტუროს თავისი არსებობა. გამოცხადების ინტენსიობა ადგილზევეა შესათანხმებელი. შეუძლია საერთოდაც არ გამოცხადდეს. გამოუცხადებლობა ოფიციალურად 500 ლარი ღირს. გამორიცხულია საპატიო გაცდენები. მიზეზით არ ინტერესდებიან. ჯარიმა 30-დან — 100 ლარამდე. თუ პირობით მსჯავრდებულს საზღვარგარეთ წასვლა სურს, პრობლემას არავინ შეუქმნის. საკმარისია გადაიხადოს 3 800 ლარი. რამდენჯერაც დასჭირდება პრობაციონერს ქვეყნის დატოვება, იმდენჯერ 3 800 ლარის გადახდა მოუწევს.

კანონში არ არის მუხლი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია პრობაციონერის (პირობით სასჯელმისჯილისძ ვადამდე ადრე განთავისუფლება. ამისათვის საჭიროა გასული იყოს პირობითი ვადის ნახევარი. მის განთავისუფლებას სასამართლო წყვეტს. მაგრამ ამისთვის საჭიროება პრობაციის სამსახურის შუამდგომლობა. ამ სამსახურს პრობაციონერმა განცხადებით უნდა მიმართოს. შესაძლებელია სამსახურმა პრობაციონერის განცხადების გარეშეც, საკუთარი ინიციატივით დააყენოს პიროვნების ვადაზე ადრე განთავისუფლების საკითხი (სანიმუშო ყოფა-ქცევა, ოჯახური პირობები და ა. შ.ძ. მაგრამ ადვოკატები ვერ იხსენებენ პირობითი სასჯელისგან ვინმეს ვადაზე ადრე განთავისუფლების ვერც ერთ შემთხვევას. ადამიანის უფლებების დამცველი გიგი თევზაძე საკითხს ამგვარად ხსნის — სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი ითვალისწინებს სასჯელსაც და ჯარიმასაც. ჯარიმა ერთჯერადია. მისჯილი ვადის განმავლობაში პრობაციონერმა შეიძლება რამდენჯერმე დაარღვიოს გამოცხადების ვადები, მოითხოვოს გამოცხადების ვადების შეღავათები, ან საერთოდ გამოუცხადებლობა, დასჭირდეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლა (რამოდენიმეჯერაც კიძ. ყველაფერი ეს ფული ღირს. შემოსული თანხებით კი ბიუჯეტს ავსებენ — მიაჩნია თევზაძეს.



### სასამართლოს ნოტარიუსის უფლებებიც ჩამოართვეს

საქართველოს მოქალაქე იდგარ ქარიმოვი ბრალეულად სცნეს 3 კაცის განზრახ მკვლელობაში და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლომ საჭიროდ არ სცნო პიროვნების, რომელსაც ბრალდებული მკვლელად ასახელებდა, ბრალდებულთან დაპირისპირება. მოსამართლე მხოლოდ ოპერატიული თანამშრომლისა და გამომძიებლის მასალებს დაეყრდნო გიორგი გიორგაძის განმარტებით, ეს არც უნდა გაგიკვირდეს. დღევანდელ საქართველოში მოსამართლის უფლებები ისეა დაკნინებული, რომ გამომძიებელს შეუძლია სასამართლოს სხდომაზე ნებისმიერი პიროვნება ისე დასვას, რომ მოსამართლეს არც კი შეუთანხმდეს. მოსმენები მოსამართლემ უნდა დააკანონოს. მაგრამ როდესაც გამომძიებელი და „ოპერი“ მას დაკანონების შესახებ დოკუმენტს წარუდგენენ, თემიდის წარმომადგენელს იმის უფლებაც არა აქვს, იკითხოს, რა მტკიცებულებების საფუძველზე უსმენენ ამ ადამიანს. მას მხოლოდ მოსმენის გადაწყვეტილების გამოტანა ევალება. გამოდის რომ, აგრძელებს გიორგაძე მოსამართლეს ნოტარიუსის უფლებაც კი ჩამორთმეული აქვს. ნოტარიუსი ფაქტს ადასტურებს, მოსამართლე კი — რაღაც ალბათობას.

გიორგი თევზაძე იმეორებს ჩვენთვის ცნობილ აქსიომას ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს, მუშაობაში ხელი შეუშალოს ადვოკატებს. მკვიდრდება ტენდენცია, რომელსაც წინასწარი დაკავების იზოლატორებიდან პიროვნებები სხვადასხვა ქალაქებში გადაჰყავთ (თბილისიდან — ქუთაისში. ქუთაისიდან — თელავში და ა. შ.ძ, ადვოკატებს მხოლოდ სასამართლო სხდომის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ატყობინებენ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ადგილსამყოფელს. თუ ადვოკატმა დროზე ვერ მოასწრო ჩასვლა, დაკავებულს სახაზინო ადვოკატს უნიშნავენ. ხელისუფლებას ეს აწყობს. ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დამცველი ხომ ნებისმიერ დოკუმენტზე ხელისმომწერია.

### კანონი ეს მე ვარ

ასეთია „ნაცელიტის“ მიდგომა ყველა საკითხისადმი. ზემდგომების ძიძლებებს წარმატებით იმეორებენ ქვემდგომნი და ცხოვრებაშიც ატარებენ.

2004 წელს მომხდარი ჯგუფური მკვლელობისთვის სტანისლავ წილოსანს ცოტა ხნის წინათ 24 წელი მიუსაჯეს. მის თანამზრახველებს კი 9-9 წელი აკმარეს. როდესაც წილოსანის ადვოკატმა განაჩენი გააპროტესტა, დედოფლისწყაროს სასამართლოს მოსამართლე თ. ჭუნიაშვილმა განუმარტა, რომ წილოსანის თანამზრახველების გასამართლების მომენტში იხელმძღვანელა 2006 წლის სისხლის სამართლის კოდექსით (ძველი რედაქციით დიდი დანაშაული შთანთქავს სხვა მცირეებსძ, წილოსანის შემთხვევაში კი — ახლით (დანაშაულთა კრებითობაძ. აღშფოთებული დამცველი მოსამართლემ ასე დააწყნარა — მე ვარ სახელმწიფო და კანონს როგორც მინდა ისე გამოვიყენებო.

ჩვენს სასამართლო სისტემაში სასჯელის შთანთქმის გაუქმებამ და კრებითობის დამკვიდრებამ არნახული არაჰუმანური განაჩენების მომსწრენი გაგვხადა. კატასტროფულად გაიზარდა პატიმართა რაოდენობა. მოქალაქეებს, ძირითადად ახალგაზრდებს 20, 30, 40-წლიანი სასჯელები აქვთ მისჯილი. ნასამართლეობის მქონე პირთა 70 პროცენტს რეციდივისტის სტატუსი აქვს. უზენაესი სასამართლო საარქივო-სარეესტრო სამსახურად გარდაიქმნა. ბოლო 7-8 წელია სააპელაციო განაჩენების გასაჩივრებამ ფორმულარი სახე მიიღო. დამკვიდრდა უზენაესი სასამართლოს მხრიდან შემოსული საჩივრების (ე. წ. პროფორმისძ განხილვაზე უარის თქმის ტრადიცია. უზენაესში საერთოდ აღარ იყენებენ პრეცენდენტული სამართლის კრებულებს. უგულებელყოფილია საპროცესო თუ საკანონმდებლო პრინციპები, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ცვლილება არ უნდა აუარესებდეს პირის, როგორც ბრალდებულის მდგომარეობას. ანუ კანონებს შორის გარდამავალ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა ამძიმებდეს პირის მდგომარეობას. მით უმეტეს, როცა დანაშაული ჩადენილია დანაშაულის შთანთქმის პროცესის მოქმედებისას. — აცხადებს ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე. მისი კოლეგა გიორგი თევზაძე კი აცხადებს, რომ ევროსასამართლოში საქართველოს მხრიდან გასაჩივრებულ ყველა საქმეზე გამოტანილ განაჩენში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოსამართლეების მიერ დარღვეულია ევროკონვენციის მეექვსე მუხლი — საქმიანი, სამართლიანი განხილვის შესახებ. ევროპელებს პრეტენზიები აქვთ გამოძიების მიმართაც, სადაც აშკარაა პროცესუალური ნორმების დარღვევა. ევრომოსამართლეების მკაცრი ვერდიქტის მიუხედავად, არავინ არ დასჯილა, აცხადებენ ადვოკატები.

ევროპელებს შოკში აგდებს უზენაესი სასამართლოს გამოქვეყნებული სტატისტიკა გამამართლებელი განაჩენების თაობაზე. თურმე 2010 წელთან შედარებით გასულ წელს მაჩვენებელმა 3 პროცენტით მოიმატა და 15-ს მიაღწია, 2010-ის 5-ის წინააღმდეგ. კრიტიკა ისმის საპროცესო გარიგებების არნახული მაჩვენებლების გამო (83 პროცენტიძ. თუმცა რა იციან ევროპელმა მოსამართლეებმა, რომ საპროცესო გარიგებებიდან შემოსული თანხები „ნაცელიტის“ ტაშფანდურებს ხმარდება.

**ზაზა ბილიხოძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### „გაათავისუფლეთ საბავშვო ბაღები გადასახადებისგან!“

— მოუწოდებს ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი ხელისუფლებას და მას მიმდინარე წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში თბილისის მერიისა და საკრებულოს ჩინოვნიკების მოსყიდვაში ამხელს. შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ამას საააკაშვილი და მისი ხელისუფლება საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების ხარჯზე აკეთებს, რაც დაუშვებელია!

**„ახალი თაობა“.**

### კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდი „აფხაზეთის ეკლესიის“ ავტოკეფალიის საკითხს განიხილავს?

2012 წლის 9 იანვარს მსოფლიო პატრიარქის ბართლომე I-ის მიწვევით სტამბოლში ე. წ. აფხაზური ეკლესიის ერთ-ერთი შტოს — „აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ისინი პატრიარქს შეხვდნენ და იმის დაპირებაც მიიღეს, რომ აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი კონსტანტინეპოლის ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე განიხილება.

**„რეზონანსი“.**

### მოსახლეობა ქუთაისში ტელეკომპანია „იმედის“ სტუდიის მშენებლობას აპროტესტებს

რამდენიმე კვირის წინათ, აბაშიძის 17-ზე, უკანონოდ, ბინის ამხანაგობასთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ერთ-ერთი კომპანია შეიჭრა, რომელმაც სადარბაზოს ჭერზე ნგრევითი სამუშაოები დაიწყო. როგორც მოსახლეობისთვის გახდა ცნობილი, მათი კორპუსის თავზე ტელეკომპანია „იმედის“ სტუდია შენდება. ამას არაფრით დავუშვებთ, ამბობენ ისინი.

**„ვერსია“.**

### „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უპირობო ცნება უნდა გახდეს“

— ამბობს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი თამარ ჩხეიძე, — ჩემი აზრით, ბატონ ბიძინას არ უნდა დაეწყო ჭეშმარიტ და არაჭეშმარიტ ოპოზიციაზე ლაპარაკი, არ უნდა დაეხარისხებინა ისინი. მით უმეტეს, რომ მან ვერ შეძლო ამ ეტაპზე მათი საუკეთესო ნიშნით დახარისხება. მას უნდა შეექმნა თავისი გუნდი და მერე შეხედავდა ვისთან ითანამშრომლებდა და ვისთან არა.

**„საერთო გაზეთი“.**

### ხელისუფლება ივანიშვილთან საბრძოლველად 50-ათასიან „მდედრიონს“ ქმნის?!

„ქართული სიტყვის“ კარგად ინფორმირებული წყაროს თქმით, მარტიდან რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყება, ამასთან ერთად, „მოხალისე“ ქალბატონებს დაურიგდებათ „საქართველოს ბანკის“ სპეციალური ბარათები, რომელზეც აღნიშნული იქნება თანხა, რის სამაგიეროდაც ქალბატონებს, იგივე „მდედრიონს“ ევალებათ არჩევნებში მოქალაქეთა მომხრობა.

**„ქართული სიტყვა“.**

გლობუსი

# ჩაივლი მტკვართან ხეივანს?..

საუკუნის დასაწყისში, როდესაც აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ საქართველოს სხვა რეგიონების ბათუმთან სწრაფი და კომფორტული დაკავშირების მიზნით, სამანქანო გვირაბის მშენებლობას მიჰყო ხელი, სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად თურქული ფირმა მოიწვია.

2004 წელს, პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციის შემდეგ ახალმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, აჭარაში ვიზიტისას, ასლან აბაშიძესთან ერთად, ავტომანქანით გაიარა დაუმთავრებელი გვირაბი და კმაყოფილმა ქათინაურებით აავსო აბაშიძე.

პრემიერმა სხვა მშენებლობებისთვისაც შეაქო აჭარის ლიდერი, რაც არ იყო გასაკვირი, ვინაიდან აღმშენებლობით არცთუ განებივრებული თბილისისთვის აჭარის მშენებლობა თვალშისაცემი იყო. მაშინ, რატომღაც არც ჟვანიას და არც მის თანამებრძოლებს ხმამაღლა არ უთქვამთ აჭარის საქართველოდან განცალკევებულად არსებობის თაობაზე. არც ერთ მათგანს არ განუცხადებია, რომ აჭარა ასლანის საფაშოა ან თურქეთ-რუსეთის შემადგენელი ნაწილი. მკითხველს ემახსოვრება მსგავსი განცხადებები, განსაკუთრებით ცენტრში მოკალათებული პოლიტიკოსებისა და ვაი საზოგადო მოღვაწეების მხრიდან.

აჭარის მონახულების შემდეგ, ჟვანიას არც ის უთქვამს, რომ სხვა ქვეყანაში იმყოფებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი განსხვავება, ცენტრსა და რეგიონს შორის, საგრძნობი იყო, ცხადია რეგიონის სასარგებლოდ. მძიმე ენერგეტიკული, მრავალწლიანი კრიზისის დროს თბილისელს თუ რამ ხვდებოდა თვალში, განათებული აჭარიდან თბილისამდე წყვდიადში მგზავრობა იყო.

ცენტრსა და რეგიონს შორის განსხვავებული დეტალების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა ერთი „დეტალის" გახსენება უდავოდ ღირს და მას აჭარის საქართველოში „დაბრუნება" ჰქვია, რაც შემდეგ მოხდა, მანამდე კი ეიფორიაში მყოფმა პრეზიდენტმა თავისი მმართველობის დასაწყისში სიტყვა არ დაიშურა აჭარის ლიდერის საქებრად. მან არც მოსკოვის მერი, აბაშიძის მეგობარი იური ლუჟკოვი დაივიწყა აჭარის განათებისთვის.

ახალმა ხელისუფლებამ გამოთქვა მოსაზრება, ასლან აბაშიძის ლუჟკოვთან მეგობრული კონტაქტის გალვივებით არა მარტო აჭარის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს განათებისა.

ძნელია ვარაუდი იმისა თუ, რამ შეაცვლევინა ახალ ხელისუფლებას ამ ჩანაფიქრის განხორციელება ან აჭარის ლიდერისადმი დამოკიდებულება და მისი „საპიარო" „დაბრუნებით" ჩანაცვლება.

ცენტრის ახალი პოლიტიკისა და ძლევამოსილების დასამტკიცებლად საჭირო გახდა ძალის დემონსტრირება, ვითომდა განდეგილი აჭარის საქართველოში დაბრუნებისთვის. აჭარის „დაბრუნება" თავისთავად მიანიშნებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ძალისმიერ დაბრუნებას, დაახლოებით ისეთს, როგორიც აჭარასთან მიმართებაში მოხდა. აჭარა, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დაბრუნების სტიმული უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, ბავშვურ-ქარაფშუტული ოცნების განხორციელების გზა, ოცნებად დარჩა. დღეს, ცოტას თუ ჰგონია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის საახალწლო მილოცვაში ნათქვამი სოხუმში ახალი წლის შეხვედრა ასრულდება.

სააკაშვილს, რომელსაც წინ სერიოზული გამოცდა ელის საპარლამენტო არჩევნების სახით, ვერაფრით წარმოუდგენია, რომ მსგავსი დაპირებით ან თუნდაც ძველის მსგავსი ვიდეოკლიპებით – „კოკოითი ფანდარასტ" და „წავიდეთ ჩვენთან სოხუმში", რამის მიღწევა შეიძლება. სააკაშვილს დღემდე PR-ს დიდოსტატად თვლიან, მაგრამ მისი ფანტაზია იმდენად დაბლაგვდა, უჭირს შექმნილი ვითარების გაჭრა. საზოგადოებაზე აღარ მოქმედებს ახალი საავადმყოფოების გახსნა, აღარც იმის მტკიცება, რომ ევროპარლამენტის მიერ რაღაც დოკუმენტში ჩაწერილი სიტყვა „ოკუპაცია" დეოკუპაციის დასაწყისია. ხალხს აღარც ეკონომიკურ წარმატებებზე ფუჭი ლაქლაქი ხიბლავს, ვინაიდან საკუთარი ჯიბიდან გამომდინარე ზომავს „წარმატებას". ჯიბე კი უწინდებურად ცარიელი აქვს.

რაღაც ახლის მოგონებაა საჭირო, რამაც უნდა იხსნას სააკაშვილის დრომოჭმული PR-ი და ასევე დრომოჭმულ-კრიმინალური ხელისუფლება. ხელისუფლების შესანარჩუნებლად არც საარჩევნო კოდექსის ნაციონალურ ტანზე მორგება კმარა და არც იმის ძახილი, რომ ყველა ჩვენი მეგობარია, რუსეთის გარდა.

სააკაშვილის ერთ-ერთი ხსნა ანტისახალხო მმართველობიდან ნამდვილ სახალხო მმართველობაზე გადასვლაა, მაგრამ მსგავსი ფერიცვალება დროის მოკლე პერიოდში შეუძლებელია. დღევანდელი ნაციონალური გუნდით, მისი გამოკვეთილი და ხალხისთვის მიუღებელი ლიდერებით, სააკაშვილს გაუჭირდება ახალ ძალასთან ბრძოლა, თუმცა არც ახალი, ჯერაც უხილავი ძალაა ისეთი, წინააღმდეგობა რომ გაუწიოს დასუსტებულ, მაგრამ მაინც ადმინისტრაციული რესურსის მქონე ძველს.



ამჟამინდელი პოლიტიკური ვითარება, მედიაში გამოთქმული მოსაზრებები დაახლოებით ისეთი განაწილების მომასწავებელია, „აირაპ" რომ შემოგვთავაზა – პარლამენტის ნაციონალებს, ივანიშვილებსა და თარგამაძეებს შორის განაწილება. არჩევნებამდე საკმაო დროა დარჩენილი. ამ ხნის განმავლობაში მრავალი მოსალოდნელი და მოულოდნელი ამბავი მოხდება, მათ შორის ტორტის გაყოფაც.

სააკაშვილის გადარჩენა თვით სააკაშვილის ხელშია, მაგრამ, სამგლე გოჭივით ატეხილი, ზედიზედ ისეთ შეცდომებს უშვებს, მტერს რომ გაახარებს. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მხოლოდ რამდენიმეს ვახსენებ – ნავვისა და შუქის გადასახადის შეწყვილებას, თბილისის ქუჩებში „სიტიპარკის" აღვირახსნილობას, ორლარიანი ავტოსადგომების შემოღებას, პრესის ჯიხურების გაუქმებას, საარჩევნო კოდექსის გაუპატიურებას, ახალი „გრანდიოზული" მშენებლობებისთვის საფუძვლის ჩაყრას და სხვა.

დავუბრუნდეთ სხვასთან ურთიერთობის თემას. სტატიის დასაწყისში აჭარის გვირაბების თემა შემთხვევით არ მიხსენებია, ვინაიდან მთელი რიგი პროექტები, მათ შორის ბათუმის აეროპორტის, ასლან აბაშიძის დროს იშვა და რომ არა შევარდნაძის მოუქნელობა, ნაციონალების მოსვლამდე ამოქმედდებოდა, თანაც არა ისეთი დათმობით, რასაც ნაცთა მმართველობის დროს არის, უპირველეს ყოვლისა მეზობელ თურქეთთან.

თურქეთი ძლიერი ქვეყანაა, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. მისი არმია ნატოში ყველაზე მრავალრიცხოვანია. მიუხედავად მსოფლიოში არსებული ეკონომიკური კრიზისისა, თურქეთის ეკონომიკური წინსვლა თვალშისაცემია. თურქეთის სიტყვა დღითი დღე იძენს ავტორიტეტს არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოში. თურქეთი ავტორიტეტით სარგებლობს პოსტრევოლუციურ არაბეთში, ცენტრალურ აზიაში. ოფიციალური ანკარა მკაცრად საყვედურობს საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის სომხების გენოციდის აღიარების საქმეში, თელ-ავივს ღაზის სექტორისთვის გამიზნებული ჰუმანიტარული ფლოტილიის დარბევისთვის, სირიის ხელისუფლებას ოპოზიციასთან უმოწყალო დამოკიდებულებისთვის და სხვა.

თურქეთის პოზიცია კავკასიის მიმართ მკვეთრად შეიცვალა 2008 წლის ომის შემდეგ. მყარმა ეკონომიკურმა გავლენამ აფიქრებინა ანკარას კავკასიაში სხვა პოლიტიკის წარმოებაზე. ანკარის პოზიციების განმტკიცებას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ყურადღებით აკვირდება რუსეთი, რომლის დამოკიდებულება თურქეთისადმი არასდროს ყოფილა ისეთი პრაგმატული, როგორიც დღეს. რუსეთს აფიქრებს თურქეთის გავლენის გაფართოება. მეგობრობა-მეგობრობად, მაგრამ საკუთარი ინტერესები უპირველეს ყოვლისა – ამ დევიზს იცავს და მუდამ დაიცავს რუსეთი.

რუსეთი დიდი ქვეყანაა, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, თანაც ბირთვულიარაღიანი. მას არ უჭირს თურქეთთან საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. უჭირს საქართველოს და რომ უჭირს, აშკარად ჩანს თურქული ეკონომიკური ექსპანსიიდან. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყარსის ცნობილი ხელშეკრულება ბათუმთან და მის ოლქთან დაკავშირებით, საუკუნის შემდეგ, ისე ამოქმედდა, როგორც თურქეთს სურდა. საქართველოს ხელისუფლების თურქეთის მიმართ დაყვავებამ და ალტაცებამ სალაპარაკო თემად აქცია საქართველოში თურქეთის მიერ მეჩეთების აშენება, აჭარაში კი რეალობად. თურქული გავლენა იგრძნობა აჭარიდან დაწყებული თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირით დამთავრებული.

ქართული მხრიდან მოუზომავმა, დაუბალანსებელმა ჩახუტებამ სხვაგვარი მადა გაუჩინა თურქულ მხარეს, რომელიც მშვენივრად გრძნობს საქართველოს ხელისუფლების ქარაფშუტობას, სამოქალაქო საზოგადოების უმოქმედობას, პარლამენტის უსუსურობას და ცდილობს ისეთი პროექტების განხორციელებას, თავში რომ არც ერთ სხვა მეზობელს, მათ შორის „მტერ" რუსეთსაც, არ მოუვა.

დასაწყისში აბაშიძე ვახსენე და მის მიერ გვირაბის გაჭრისთვის თურქული კომპანიის გამოყენება. ამ შეთავაზებით გახალისებულმა თურქულმა მხარემ აბაშიძეს სხვა პროექტიც შესთავაზა – სარფიდან დაწყებული აჭარა-აფხაზეთის გავლით საავტომობილო ჰაივეის მშენებლობა, რაზეც აბაშიძემ უარი უთხრა. ჩემს შეკითხვაზე, რით იყო გამოწვეული უარი, აბაშიძემ მითხრა - სამხრეთელ მეზობელთან დოზირებული მოქმედებაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოვა და არსად წავაო.

როგორც ჩანს, ნაცი ხელისუფლება ამ დოზას არ იცავს, თორემ ის, რაც „ბეშიკაიას" კასკადის მშენებლობის პროექტის გაჟღერებას მოჰყვა, სხვა არაფერია, თუ არა საქართველოსთვის თავზე ლაფის დასხმა.

„ბეშიკაიას" ჰიდროელექტროსადგური საქართველოს საზღვართან, არდაღანში იგეგმება. პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია მდინარე მტკვრის დინების შეცვლა, თანაც სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით. მტკვარი, რომელიც სათავეს თურქეთში იღებს და საქართველო-აზერბაიჯანის გავლით კასპიის ზღვაში ჩაედინება, პროექტის ამოქმედების შემდეგ, შავ ზღვას შეუერთდება, ცხადია საქართველო-აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოტოვებით.

თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის მტკვარი, ამის ახსნა ზედმეტია. ის მარტო სიმღერა „თბილისოს" სიტყვები - „ჩაივლი მტკვართან ხეივანს. . ." არ არის. ის უფრო მეტია ეკოლოგიური, ენერგეტიკული, ისტორიული თვალსაზრისით. მტკვარი და საქართველო განუყოფელია. მაგრამ იცის ეს ჩვენმა „რეფორმატორმა" და გლობალისტურმა ხელისუფლებამ?

როგორც ამბობენ, სააკაშვილს ჰქონდა ამ თემაზე თურქეთის პრემიერ ერდოღანთან ლაპარაკი. საუბრის დეტალები საზოგადოებისთვის უცნობია. საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილმა ამ თავზარდამცემი ამბის შესახებ გაზეთ „რეზონანსიდან" გაიგო. მას კი საქართველოში სტუმრად მყოფმა თურქეთის პარლამენტის დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა გაანდო. გაანდო იმიტომ, რომ თურქი პარლამენტარი მიიჩნევს, თურქეთისთვის პროექტის უვარგისობას – ეკოლოგიური თვალსაზრისით.

თურქ პარლამენტარს ჰგონია, რომ სამშობლოს მოყვარული ქართული საზოგადოება, ოპოზიცია, ხმას ამოიღებს და ქვას-ქვაზე არ დასტოვებს. ამაოდ, ჩემო კეთილისმსურველო თურქო პარლამენტარო.

ის, რომ თურქეთის გარკვეულ წრეებს, მათ შორის სამთავრობოს, მსგავსი პროექტის განხორციელების იდეა გაუჩნდა, სულაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან მათ კარგად იციან რა ბედოვლათ ხელისუფლებასთან აქვთ საქმე. იქნებ შეთანხმდნენ კიდეც? დავუშვათ, ამას ადგილი არ ჰქონია, რა დონეზე უნდა მიუშვა მეზობელი, რომ მან მდინარე მოგტაცოს?

ძნელი სათქმელია. განხორციელდება თუ არა პროექტი, მაგრამ იდეის წარმოშობაც, თანაც პროექტის შექმნაც, უკვე ბევრს ნიშნავს. უპირველეს ყოვლისა დიდი და ძლიერი მეზობლის აგდებულ დამოკიდებულებას სუსტი, უპრინციპო ხელისუფლების ქვეშ მყოფი საქართველოსადმი. თბილისში რკინიგზის გადატანისა არ იყოს – (გამოთავისუფლებულ ტერიტორიას მერია სარფიანად გაყიდისძ მტკვრის გადატანით ხელისუფლება დიდ ფულს გამოჰკრავს ხელს. ვინც წააგებს – საქართველოა. და რომ წააგებს საზოგადოების დუმილიდანაც ჩანს. დუმს ოპოზიციაც, „ქართული ოცნებაც" ან რაღა „ოცნებაა", დედა მდინარის გარეშე!

მავანი იტყვის – არ ღირს ამ აბსტრაქტულ პროექტზე ხმაურის ატეხა და ჩვენს მეზობელთან, ძმასთან, მეგობართან, სტრატეგიულ პარტნიორთან საქმის გაფუჭება. მაგრამ რა ვუყოთ თურქი პარლამენტარის ნათქვამს, რუსულ „ნეზავისიმაია გაზეტაში" (2011. 28 დეკემბერიძ პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას, თურქეთში აშენებული „დერინერის" კაშხლის მიერ აჭარის სანაპიროსთვის მიყენებულ სერიოზულ ზარალს? რა ვუყოთ ქართული კულტურის ძეგლების რესტავრაციის სანაცვლოდ თურქულ ულტიმატუმს – საქართველოში 4 ახალი მეჩეთის აშენებასთან დაკავშირებით? და ა.შ. ასე იცის დათმობის პოლიტიკამ. რა მართალი ყოფილა აბაშიძე.

დაბოლოს ახალი ქალაქის „ლაზიკის" მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ ფანტაზიის ჩვენთვის განდობასთან ერთად უმალ გაჩნდა კითხვა – ფული საიდან? ამ შემთხვევაში „სეროჟას" პასუხი – „ტუმბოჩკიდან" – სუპერუადგილო იქნება, ვინაიდან ასეთი „ტუმბოჩკა" არც ბიუჯეტს აქვს და არც ბიზნესს. თურქეთში მცხოვრები ლაზები გადაიხდიანო. აჰა, როგორც ჩანს, გაჩნდა „ჩეინჯის" ახალი სახე – მტკვარი – ლაზიკაზე.

ბარაქალა ჩვენს მეზობლებს – ზოგი ტერიტორიებს გვართმევს და წართმეულს დამოუკიდებლობას ანიჭებს, ზოგმა მთელი სამხრეთი წაგვართვა, შემდეგ კი საქართველო-თურქეთის ჩარჩო ხელშეკრულების სახით, ის წართმეული (ყარსის ხელშეკრულებაძ დაგვაკანონებინა. ახლა მტკვარს გვართმევს. ზოგი დარჩენილ სამხრეთ საქართველოს გვედავება, ზოგიც დავით გარეჯსა და მიმდებარე ტერიტორიას. იქნებ აუქციონზე გაგვეტანა საქართველო? ბოლოს და ბოლოს ჩვენც დავისვენებთ და ისინიც. ვინ იცის, იქნებ ისეთმა ავტორიტეტულმა პირმა შეიძინოს ეს ქვეყანა, უბატონოდ ხმას რომ ვერავინ გასცემს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## თბილისის ტერიტორიაზე ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთი 200 000 ლარით განისაზღვრა

**თბილისის ტერიტორიაზე ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთი 200 000 ლარით განისაზღვრა. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის დადგენილება უკვე გამოქვეყნდა, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ნიკოლოზ გილაური აწერს. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" კანონში განხორციელბული ცვლილების შემდეგ მთავრობამ ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთები დაადგინა. კერძოდ, 2012 წლის იანვრიდან ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთები შემდეგნაირად განისაზღვრა: თბილისის ტერიტორიაზე – 200 000 ლარი; ბათუმის ტერიტორიაზე – 80 000 ლარი; ქუთაისში – 80 000 ლარი; რუსთავში– 80 000 ლარი; ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე – 40 000 ლარი.**

ინტერპრესი

პროგნოზი

# სად მიჰყავართ რკინიგზის ლიანდაგს და ხელფასებს...

**ყველა სახელმწიფო ორგანიზაციაში საარჩევნო წელს ხელფასები გაიზრდება, რათა ქვეყნის მესაჭე მშობლიურმა პარტიამ არჩევნებში სასურველი ხმები დააგროვოს. უშუალოდ სახელმწიფო უწყებებში ეს პროცესი დაწყებულია და მას მხარი მსწრაფლ აუბა „საქართველოს რკინიგზამ“. აქ ხელფასები 100-600 ლარით გაიზრდება.**

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რკინიგზაში ხელფასების ზრდა არ დაფიქსირებულა, მაგრამ რაკი 2012 გამორჩეულად „სახიფათო საარჩევნო“ წელია, ამიტომ...

**„კომპანიაში ისეთი მნიშვნელოვანი შიდა პროექტი მიმდინარეობს,როგორიცაა — რანგირება. ეს პროექტი 2012 წელს დასრულდება და წლის ბოლოს რკინიგზაში საშუალო ხელფასი 645 ლარიდან 750 ლარამდე გაიზრდება. ასევე მემანქანის ხელფასი არსებული 1000-დან 1250 ლარამდე აიწევს, დისპეტჩერის — 900-დან 1500 ლარამდე, სალიანდაგო ოსტატის ხელფასი კი 830-დან 1250ლარამდე გაიზრდება“,** — აღნიშნა „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ.

მისივე თქმით, თბილისის შემოვლითი რკინგზის პროექტისთვის მიმდინარე წელს 200 მლნ ლარის სამუშაოების შესრულება იგეგმება.80 მლნ ლარის ინვესტირება სატვირთო შემადგენლობაშიც განხორციელდება. ასევე ახალი სამგზავრო მატარებლების შესაძენად 10 მლნ ლარი დაიხარჯება.

ზოგადად „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი ირაკლი ეზუგბაია 2011 წელს წარმატებულად აფასებს და აცხადებს,რომ 2010 წელთან შედარებით კომპანიის შემოსავლები 405 მლნ ლარიდან 489 მლნ ლარამდე გაიზარდა, წმინდა მოგება კი 101.5 მლნ ლარიდან — 145 მილიონ ლარამდე.

მიუხედავად ასეთი შთამბეჭდავი მონაცემებისა, „საქართველოს რკინიგზა“ გროშებს უხდის იმ ადამიანებს, რომელნიც მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ და თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ფარგლებში მათზე კომპენსაციის გაცემა დაიწყო. ყველასათვის ცნობილია, რომ ეს მიზერული თანხები იყო და ამიტომაც უამრავი საქმე სასამართლომდე მივიდა.

როგორც ირაკლი ეზუგბაიამ განაცხადა, ამ დროისთვის კომპანიამ 980 მიწის ნაკვეთი გამოისყიდა. მათ მფლობელების საკომპენსაციოდ კი 22 მილიონ ლარზე მეტი თანხა გასცა. თუმცა, პრობლემური ნაკვეთები ჯერ კიდევ არის დარჩენილი და მათი მფლობელების ნაწილთან დავა სასამართლოში მიმდინარეობს, ნაწილთან კი მოლაპარაკებებს რკინიგზის იურიდიული დეპარტამენტი აწარმოებს.

მიუხედავად ამისა, როგორც ეზუგბაია ირწმუნება, თბილისს ახალი შემოვლითი რკინიგზა 2013 წელს ექნება.პროექტი, ჯამში, 170 მლნ ევრო ჯდება. პირველადი საპროექტო ხელშეკრულების თანახმად, 100 მლნ ევრო „საქართველოს რკინიგზას“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან სესხის სახით უნდა მიეღო, ხოლო 70 მლნ ევროს თავად შპს „საქართველოს რკინიგზა“ დაფარავდა, თუმცა გადაწყდა, რომ პროექტს მთლიანად კომპანია დააფინანსებს. ევროპის ბანკთან ხელშეკრულება გასული წლის ბოლოს გაუქმდა.

პროექტს ტენდერში გამარჯვებული ქართულ-ჩინური კონსორციუმის წარმომადგენელი საქართველოში, სააქციო საზოგადოება „ხიდმშენი“ ახორციელებს. პროექტის ამოქმედების შემდეგ ტვირთები მთლიანად შემოვლითი რკინიგზით გადაიზიდება, სამგზავრო მატარებლებიკი 2 მიმართულებით იმოძრავებს: დასავლეთისაკენ გამგზავრების მსურველები სადგურ „დიდუბით“, ხოლო აღმოსავლეთში მგზავრობის მსურველები სადგურ „ნავთლუღით“ ისარგებლებენ. ამ დროისათვის ხსენებული სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

**„ამჟამად, 40 კმ სიგრძის მონაკვეთის გზის მშენებლობა მიმდინარეობს. პარალელურად, თბილისი-კახეთის მეორადი სარკინიგზო ლიანდაგის რეაბილიტაცია ხდება. ასევე პროექტის ფარგლებში, 4-5 კმ სიგრძის გვირაბი აშენდება. 2013 წლის დასაწყისში კი სატრანზიტო მოძრაობა მთლიანად ახალი შემოვლითი რკინიგზით განხორციელდება“,** — განმარტავს ეზუგბაია.

**გიორგი ბექაური**



თანამედროვე „მგზავრის წერილი“

# მოდის მატარებელი, გულის გამ...წყალებელი,

## ანუ არ გვინდა, ბატონო, მოდერნიზებული!

**ჩემს გულისტკივილს (და არა მხოლოდ გულის) იოლად გაიგებს ყველა, ვისაც ამ ბოლო წლებში ფოთიდან, ან დასავლეთ საქართველოს რომელიმე სხვა ქალაქიდან თუ რაიონიდან თბილისში გამგზავრება ხშირად უხდება და ყველაზე საიმედო სატრანსპორტო საშუალებად, ძველებურად, მატარებელს მიიჩნევს. ამ ცხოვრებას თუ თვალი ერთხელ მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსო, — დაგვმოძღვრა საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩვენმა კლასიკოსმა მწერალმა. როგორც ჩანს, სწორედ ეს ბრძნული შეგონება გაითავისეს საქართველოს რკინიგზის მესვეურებმა, როცა სარკინიგზო მიმოსვლის პრაქტიკაში ე.წ. მოდერნიზებული მატარებლები დანერგეს, რითაც საბოლოოდ მოგვისპეს ერთგულ მგზავრებს მატარებლით მგზავრობისას თვალის მოხუჭვის შანსი...**

ამას წინათ, თბილისიდან ფოთში დასაბრუნებელი ბილეთის შეძენისას, მოლარეს ვთხოვე ერთი ბილეთი „მოდერნიზებულ“ მატარებელზე, თანაც ეს მაგიური სიტყვა ხაზგასმული სარკაზმით წარმოვთქვი. როგორც ჩანს, ამით ჩემდა უნებურად, გული ვატკინე „საქართველოს რკინიგზის“ პატიოსან მუშაკს, — რა ხართ ეს მგზავრები, თქვენს მოსაწონს კაცი ვერაფერს გააკეთებსო, — გამოსცრა კბილებში. თუმცა მერე, როცა ღამის მატარებელზე-მეთქი, დავსძინე, ცოტა შეარბილა საყვედურის ტონი.

ჩვენს პრეზიდენტს, როგორც ვიცით, ძალიან უყვარს თავის გამოცდა სხვადასხვა ამპლუაში: ხან კატარღის შტურვალთან დგას, ხანაც ტრაქტორს მართავს, ხან შლემს ირგებს თავზე ან თხილამურს — ტერფზე, ხანაც ველოსიპედით დაქრის... ჰოდა რა იქნებოდა, „თბილისი-ფოთის“ მიმართულებით ღამის მოდერნიზებული მატარებლის ყველა სიკეთეც ეწვნია საკუთარ თავზე, ან ეს პატივი, იქნებ, ამ „მოდერნიზებული იდეის“ ავტორისთვის ერგუნებინა?!

კი, ბატონო, თუ რაიმე უჩვეულო არ მოხდა, ეს მატარებელი ხუთიოდ საათში ჩადის დანიშნულების პუნქტში, მაგრამ (ილიას ოთხი წელიწადისა არ იყოსძ იცით, ეს ხუთი საათი რა ხუთი საათია?! **„პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის“** კერას სწორედ იმ დროს მოსცილებია, როცა მთელი დღის შრომითა და ფორიაქით ქანცგაწყვეტილს, მეტ-ნაკლებად ფუმფულა ბალიშში თავჩარგულს, მეტ-ნაკლებად ფერადი სიზმრებისთვის უნდა მიეცა თავი; მეორეც, ეგ ხუთი საათი **„ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული“,** რომელზეც საკუთარი თავის მიმართ პატივისცემადაკარგულმა, ქათამივით ქანდარაზე ჩამომჯდარმა უნდა გაითენო და სისხამ დილით მტკივანი თავ-კისრითა და წელით, რუმბივით გასიებული ფეხებით, რომელზეც ფეხსაცმელიც კი ვერ მოირგე რიგიანად, გადაეშვა სასწრაფოდ მოსაგვარებელი საკითხებით გადაჯერებული ცხოვრების ფერხულში...

მატარებლის გასვლის დროს არ იკითხავთ? 01:35. აქედან (ფოთიდანძ იქით კიდევ ჰო, ჩვენი დალოცვილი ქალაქი ისეთი პატარაა, რომ გაჭირდეს, ფეხითაც მიხვალ სადგურში (რომელიც, კაცმა არ იცის, რატომ დაანგრიეს ან ზუსტად ისეთივე რატომ ააშენესძ. აი, იქიდან აქეთ კი... მეტრო და სხვა სატრანსპორტო საშუალებები 00:00 საათისთვის მუშაობას წყვეტენ და ტაქსის ფული თუ არ მოგრჩა დედაქალაქის დროებით სტუმარს (ეს კი ნაკლებ სავარაუდოა სტუდენტი შვილის მოსანახულებლად ჩასულისთვისძ, შინიდან დროზე გვარიანად ადრე გამოსულმა სადგურის მოსაცდელ დარბაზში კარგა ხანს უნდა იყურყუტო მატარებლის ჩამოდგომის მოლოდინში. ხოლო შიგ დამჯდარს თუ ბედმა გაგიღიმა და შუა ადგილას მოხვდი, ხომ კარგი, მაგიდაზე თავის ჩამოდების საშუალება მაინც მოგეცემა, ხოლო თუ მეტისმეტად თადარიგიანს ყველაზე ადრე მოგიხდა ბილეთის აღება ან ძალიან დაგიგვიანდა და ვაგონის სულ თავში ან ბოლოში მოხვდი, სავარძლის საზურგის გადაწევის შანსიც არა გაქვს და მართი კუთხით სამად მოკეცილს მოგიხდება ღამის გათენება.

კიდევ კარგი, ტელევიზორები გაფუჭდა და აილეს, თუ ვილაც ღვთისნიერი მიხვდა, რომ ღამით ვერაფერი სიამოვნებაა უნიჭო ფილმების პერსონაჟთა მთელ ხმაზე მყვირალა დიალოგებს სმენა... მაგრამ შუქი?! მთელი ღამე სიმართლის დეტექტორივით ჯიუტად გაჭყიტებს თვალებში... ჩვეულებრივ, პირველი ვაგონია ხოლმე მაქსიმალურად გადაჭედილი, დანარჩენი ორი თუ სამი მუდმივად ცარიელი დადის (მგზავრთა უმრავლესობა სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობას ამჯობინებსძ, მაგრამ მუხლის გაშლისა და ცოტა ხნით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში სხეულის მოსვენების ცდუნებას აყოლილი მგზავრები უშედეგოდ ცდილობენ მეზობელი ვაგონის „დალაშქვრას“ — გამცილებელი ამის ნებას არავის რთავს...

ღამით თუ ასე გიჭირს, დღის მოდერნიზებული მატარებლით იმგზავრეო, — მირჩევს მავანი. ასეთ დისტანციაზე მგზავრობა არც დღისითაა სიამოვნების მომგვრელი, — ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცეო, — გამოცანა მოგაგონდება უნებურად. მით უფრო, რომ იქით-აქეთ მგზავრობისათვის უქმად დასაკარგი ორი დღე ამ დუხჭირ ცხოვრებაში ძნელად თუ ვისმეს მოეპოვება...

მართალი გითხრათ, მენატრება ფოთი-თბილისის 15 თუ 16 საძილევაგონიანი მატარებელი, რომელზეც მთელი ხუთი წელიწადი გამოკიდებული იყო ჩემი სტუდენტობა. იმ „ავადსახსენებელ“ დროს მეტრო და საქალაქო ტრანსპორტი ღამის პირველ საათამდე მუშაობდა, ბოლო სამგზავრო მატარებელი კი, თუ არ ვცდები, თბილისი-ვალე, თბილისის ვაგზლიდან პირველის ნახევარზე გადიოდა. საწოლის თეთრული სითეთრით არ ბრწყინავდა, მაგრამ თუ უჩვეულო ნერვული აშლილობა არ გაწუხებდა, მონანავე ვაგონში მთელი ღამე ნებიერად გამოძინებული ახალ დღეს სასიცოცხლო ძალებისაგან თითქმის დაცლილი კი არა, ენერგიით აღსავსე და დაგეგმილ სამუშაოთა აღსრულებისთვის მზადმყოფი ეგებებოდი. შეღავათებიც იყო — მოსწავლეები და სტუდენტები ნახევარი ბილეთით ვმგზავრობდით... ნეტავ, რატომ ახლა არავის მოსდის აზრად, რამდენად მნიშვნელოვანია ამ უსაშველოდ გაძვირებულ ცხოვრებაში მსგავსი შეღავათების აღდგენა! ეეჰ!.. როგორც იტყვიან, ვაჰ, დრონი, დრონი!...

ახლა ერთადერთი ნათელი წერტილი ფოთელებისათვის ოზურგეთი-თბილისის „არამოდერნიზებული“ მატარებელია. მართალია, იოლი არაა და დამატებით ხარჯებთანაც არის დაკავშირებული ღამით ფოთიდან ურეკში ჩასვლა, მით უფრო, თბილისიდან ჩამოსულის დახვედრა დილის ხუთ საათზე, მაგრამ ღამეულ მგზავრს მოსასვენებლად ოპტიმალური „განლაგება“ მაინც გარანტირებული აქვს, თანაც თერთმეტ ლარად (თეთრეულიანად და განახევრებული „ადიალითძ, მაშინ, როცა მარინადში მჭიდროდ ჩაწყობილი ქაშაყის პოზიციაში წამება მოდერნიზებულ მატარებელზე 15 ლარადაა „შეფასებული“. თუმცა, როგორც ყური მოვკარი, არსებობს ამ ერთადერთი იმედის წართმევის რეალური შანსი. აქაოდა, ..მოდერნიზებულმა“ მატარებლებმა გაამართლა და ყველა მატარებელი უნდა „გავამოდერნოთო“. ოღონდაც... 3-4 ვაგონის გაწევა უფრო ნაკლებ ენერგეტიკულ და, მაშასადამე, ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, შემოსავალი კი იგივეა, რასაც 15-16-ვაგონიანი მატარებელი იძლეოდა, როცა მთელი სამტრედია, აბაშა, სენაკი და ფოთი ამ მატარებლის იმედად იყო. მეტი რა უნდა კაპიტალისტს — მცირე დანახარჯებით დიდი მოგება! მაგრამ ხალხზეც ხომ უნდა იფიქროს ვინმემ ოდესმე?!

ჰოდა, იპოლიტე ხვიჩიას ფეხბურთზე გადარეული გმირისა არ იყოს, არ გვინდა, ბატონო, ფინიშიო, — არ გვინდა მოდერნიზებული! დაგვიბრუნეთ დედის უბესავით თბილი და მყუდრე საძილე ვაგონები, რომლებიც გონივრულ დროზე გავლენ და გონივრულ დროზე ჩავლენ დანიშნულების პუნქტში!

**ნონა დარასელია**

ერის მამები გვასწავლიდნენ!

# ქვეყანა ჩვენი — ტყე, მთა, მინდორ-ველი, ვენახი მსხმოიარე!

**თითოეულ ჩვენგანს ბევრჯერ დაუსვამს ასეთი კითხვა: „რამ გაგვაძლებინა, რამ გადაგვარჩინა, რამ მოგვიყვანა აქამდე?**

ილია ჭავჭავაძესა და ივანე ჯავახიშვილს ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი ჰქონდათ. ვინაიდან აშკარა და ცხადზე უცხადესია, რომ ამას მათზე უკეთესად ვერავინ გეტყვით, ამიტომ მოვიყვან ვრცელ ამონარიდს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომიდან — „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.

„იმ ეკონომიკურ საფუძვლად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა, ილ. ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა. მისი სიტყვით, „ჩვენს ეკონომიურს“ წყობაში ორგვარი მიმდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე — საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა, მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა. აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ, როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდეც, თუ არ მეფენი, თვითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდამა სჩანსო, ამბობს ილია, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას, რადგანაც ყველგან საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის დღიურითა, მამულების ნაყოფიერებისა გვარად“-ო. თანაც **„ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სამსოფლო“-ო** (V, 203-204ძ“ („ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. იხ. წიგნში: ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“. თბ., 1956, გვ 82ძ.

ახლა ვეკითხები, ვისაც ჯერ არს: ყველაფერს რომ ყიდით და ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის ნააზრევს რომ არ ითვალისწინებთ, არ ფიქრობთ, რომ რაღაცა გეშლებათ, რაღაცაში ცდებით, რაღაც მთლად ისე არ არის, როგორც გგონიათ? ბოლოსდაბოლოს ტანი მაინც არ გიბრძნობთ, რომ თუ ასე გაგრძელდა, რა დღე დაგვიდგება, ჩემო ბატონებო?

**გურამ ხანდამიშვილი,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი



2012 წლის 09 იანვარი
ქ. თბილისი

## სამშენებლო კომპანიების საყურადღებოდ

კომპანია „თეკ-ევ“-ის (ს/ნ 404896564) ადვოკატი ზურაბ ვანიშვილი (პირადი № 59001013409) ვაცხადებ კონკურსს შემდეგი საქონლის გაყიდვაზე:

დანადგარები, მოწყობილობები სამშენებლო ხარაჩოების, ყალიბების სამაგრებისათვის, მათ შორის:

1) Basic frame 1.80 m – 200 ცალი
2) Diagonal brace HD 18.250 – 200 ცალი
3) Four-way head 19 – 214 ცალი
4) PNM 30/30/330 inside corner panel – 8 ცალი
5) Panemax 45/330 panel (plywood incl) – 4 ცალი
6) PNM 90/330 universal panel (plywood incl) – 32 ცალი
7) Fixing bracket PNX – 240 ცალი
8) Four-way spindle head 48/120 – 399 ცალი
9) Panemax 120/330 panel (plywood incl) – 32 ცალი
10) Panemax 60/330 panel (plywood incl) – 8 ცალი
11) PNM 90/330 universal panel (plywood incl) – 24 ცალი
12) Floor prop ST 350 – 200 ცალი

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საქონელზე წარმოქმნილია საგადასახადო გირავნობა-იპოთეკა.

დაინტერესების შემთხვევაში დამატებითი ცნობებისათვის დამიკავშირდით ტელეფონზე 577 529937, ელ. ფოსტა: zvani@hotmail.com

დაინტერესების შემთხვევაში განაცხადები წარმოადგინეთ ჩემს ელექტრონულ მისამართზე: zvani@hotmail.com

ინფორმაცია

## რუსეთის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები ერთობლივი სამხედრო წვრთნის ჩატარებას გეგმავენ

რუსეთის ფედერაცია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. შეიარაღებულ ძალებთან ერთად სამხედრო-საბრძოლო წვრთნის „კავკაზ 2012“-ის ჩატარებას გეგმავს. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბზე დაყრდნობით ავრცელებს. მათი ინფორმაციით, წვრთნა მიმდინარე წლის სექტემბერში ჩატარდება.

— იგეგმება, რომ სწავლების ფარგლებში დასახული ამოცანები დამუშავებული იქნება სამივე არმიის ოფიცრების მიერ. მანევრები ფართომასშტაბიანი არ იქნება და სამივე მხრიდან არც თუ ისე დიდ სამხედრო კონტინგენტების წარმომადგენლები იქნებიან მასში ჩართული, — იუწყება რუსული მედია და აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით სამხედრო სწავლებების ჩანაფიქრი და ჩატარების რაიონი ცნობილი არ არის, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ისინი სამხრეთის ფედერალური ოლქის პასუხისმგებლობის ზონაში ჩატარდება.

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების წარმომადგენელი პოდპოლკოვნიკი სერგეი ვლასოვი აცხადებს, რომ უცხო ქვეყნის სამხედრო ჯარებთან არსებული შეთანხმების თანახმად „ერთობლივი ძალებით დაგეგმილია ტაქტიკური სწავლების 70-მდე ერთობლივი ღონისძიება. მთავარი ძალისხმევა კი მიმართული იქნება კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის გაღრმავებისკენ. ამ მიმართულებით დაგეგმილია 11 ღონისძიება, — აღნიშნავს ვლასოვი.

მისივე თქმით, დაგეგმილია ასევე ანტიტერორისტულ სწავლებათა ჩატარება შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ევრო-სახელმწიფოების მიერ, სახელწოდებით „მირნაია მისია — 2012“ და რუსულ-ინდური სპეციალური სწავლებების ჩატარება სახელწოდებით „ინდრა-2012“.

სულ რუსეთის სახმელეთო ჯარებში დაგეგმილია 80-მდე საბრძოლო და 270-მდე ტაქტიკური სამხედრო წვრთნის ჩატარება.

ინტერპრესი

სარედაქციო ფოსტიდან

# ქვეყანა ღონიერია, თუ პრეზიდენტი გონიერია

აზრი თითოეულ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, ქვეყანას ბრძენი უნდა მართავდეს. პრეზიდენტობა არ ნიშნავს, ჰქონდეს მაღალი ხელფასი და მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს. ეს არის ყველა დანარჩენ ადამიანზე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. შენ გაწევს ტვირთი, უნდა შეგეძლოს ამ ტვირთის აწევა და ტარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენ ხარ ხალხის ტვირთი და ხალხი ეცდება, რომ მოგიშოროს. შენ შენი საქმით უნდა დაარწმუნო ის ადამიანები, ვინც შენ აგირჩია, რომ არ შეცდნენ და ის ადამიანები, ვინც არ აგირჩია — შეცდნენ. უნდა გრძნობდე, როგორც კი ძალა გამოგელია, არ დაუცადო პრეზიდენტობის გასვლის დროს და გადადგე. შენ ვალდებული ხარ მკაცრი, მომთხოვნი იყო, რომ არჩევნები თავისუფლად ჩატარდეს.

**ეს არის თვითკონტროლის საუკეთესო საშუალება.**

მთავრობა ხალხის რჩეულია და ვალდებულია, ისე ცხოვრობდეს, როგორც ხალხი. მან უნდა უზრუნველყოს ყველას ჩაბმა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაში. ყველას უზრუნველყოფა საარსებო მინიმუმით. ამის მერე მისი მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული უნდა იყოს მის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაზე.

პრეზიდენტმა არჩევის შემდეგ უნდა დაიცვას სახელმწიფოს ძირითადი კანონი — კონსტიტუცია. არ შეიძლება კანონების განვითარებული ქვეყნიდან ჩამოტანა. კანონმდებელმა შეიძლება ერთი განვითარებული ქვეყნიდან ცოლს ნიფხავი ჩამოუტანოს, რომ დაეხევა, მეორე განვითარებული ქვეყნიდან ჩამოუტანოს და მიაკეროს. მაგრამ არ შეიძლება წახვიდე ერთ განვითარებულ ქვეყანაში, ჩამოიტანო კანონი, მერე წახვიდე მეორე განვითარებულ ქვეყანაში, ჩამოიტანო მეორე კანონი და მას მიაკერო. ყველა ქვეყანას თავისი განვითარების გზა აქვს. კანონები უნდა შეესაბამებოდეს მიზანს და დროს. კანონებს ძალა აქვთ დროის მიხედვით. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიძლება კანონმა ძალა დაკარგოს.

მორალური ძალა მეტია ფიზიკურ ძალაზე. პრეზიდენტი, მთავრობა მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ ყველაფერში. ამის შემდეგ აქვს ხალხს მორალური უფლება მოსთხოვოს კანონის დაცვა. პრეზიდენტი უნდა ხვდებოდეს ხალხს. ისმენდეს მათ მოთხოვნებს. ხალხში არის გაფანტული სიბრძნე და თუ ის ბრძენია, უნდა კრეფდეს მას. ის არა მარტო უნდა ასწავლიდეს, არამედ უნდა სწავლობდეს ხალხისგან.

საქართველოდან არ უნდა მიდიოდნენ ადამიანები საარსებო მინიმუმის საშოვნელად რუსეთში, საბერძნეთში... არამედ იმ ქვეყნებიდან უნდა ბრუნდებოდნენ საქართველოში.

**ამის მერე დაბრუნდება აფხაზეთი.**

მთავრობის ყოველი გადადგმული ნაბიჯი შეთანხმებული უნდა იყოს მეცნიერებთან, სამღვდელოებასთან და ოპოზიციასთან.

**დსთ თუ ნატო?**

ნატოში რომ შეხვიდე, ჯერ დსთ-დან უნდა გამოხვიდე, წინასწარ უნდა გააანალიზო, რა შეიძლება მოჰყვეს ქვეყნისთვის დსთ-დან გამოსვლას.

მთავრობა უნდა მოქმედებდეს თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს იმ ქვეყნების ინტერესები, საიდანაც გამოდის. წინააღმდეგი არიან თუ არა ის ქვეყნები, საიდანაც გამოდის. თუ წინააღმდეგია, რატომ? რა შეიძლება მოჰყვეს გამოსვლას ამ ქვეყნებისათვის და, აქედან გამომდინარე, თავისი ქვეყნისთვის. ამის შემდეგ შეიძლება გამოხვიდე. გარკვეული დრო თავი უნდა შეიკავო ნატოში შესვლაზე. შეხედო, რა მოუტანა ქვეყანას დსთ-დან გამოსვლამ. თუ არ გაამართლა და ხალხის ცხოვრების დონე დაეცა (დაპირება, რომ ნატოში შევალთ და მერე უკეთესო ცხოვრება იქნება, არ შეიძლებაძ, მთავრობა უნდა გადადგეს. ხოლო თუ გაამართლა, მაშინ ჯერ ცხოვრების დონე უნდა გახდეს ისეთი, როგორიც ნატოშია და მერე უნდა გადაწყდეს ნატოში შესვლის საკითხი.

სახელმწიფოთა შორის საზღვარს ამ სახელმწიფოების ძალა და გავლენა განსაზღვრავს, ამ სახელმწიფოების ძალის და გავლენის შესაბამისად განიცდის ცვლილებას.

კარგია, როდესაც გეხმარება ამერიკა და ევროპა, მაგრამ ცუდია, როცა მთავრობა დასახმარებლად გაუხდის ხალხს საქმეს. საქართველოში მცხოვრები ქართველი და არაქართველი არანაკლებ მებრძოლი და მშრომელია, ვიდრე იმ ქვეყნის ადამიანები, ვინც ეხმარება. ეგ არის, რომ მთავრობას თავმოყვარეობა აქვს დაკარგული.

მთავრობა რომ ჩაება და ხალხიც ჩააბას საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაში, მაშინ დახმარება არ დასჭირდება.

**ოთარ მაისურაძე,**
ფიზიკოსი, ქ. თბილისი

წკეპლიკა

# სურამის ქედზე — „ბერლინის კედელი“?

თქვენც შეამჩნევდით — ქვეყნის პრეზიდენტი შემთხვევას არ უშვებს, რომ ტელეეკრანიდან ქუთაისში პარლამენტის გადასვლა, 26 მაისს იქ პირველი სხდომის გამართვა, მთავრობის გადაყვანაც არ წამოგვაგონოს. ახლახანაც, ერთ-ერთ ტელემონოლოგში, „გაგვანათლა“, თუ ამ ცვლილებებით როგორ მოღონიერდება ეკონომიკურად დასავლეთ საქართველო, თუ რა მალე დამთავრდება დეპუტატებისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა „სავარდოსა და სამაისოში (თითქოს ძვირფას კანონმდებლებს თბილისში აკლდეთ უძრავი ქონება!ძ და სხვა.

„გაგვანათლა“, თუმცა, ერთი კოლეგის მახვილგონივრული თქმისა არ იყოს, დამაჯერებლად მაინც ვერ მოგვითარგმნა, თუ რატომ გადააქვს (დიახ-დიახ, მას რატომ გადააქვსძ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში. შემთხვევას არ უშვებსმეთქი, ეგ შემთხვევა კი, ჰაი, ჰაი, რომ ზეხშირადა აქვს ტელევარსკვლავად ქცეულს...

ამასობაში კვლავ „ვაიმე, რომ ეჭვი მოუგზავნია ჯოჯოხეთს“ (ეს ეჭვი სხვებმაც გამოსთქვესძ: გარეშე მაღალთა და მაღალთა მავანთა და მავანთა მართლა საცოდავი საქართველოს ორად გახლეჩვა — აღმოსავლეთად და დასავლეთად — ხომ არა აქვთ ჩაფიქრებულ-გადაწყვეტილი და ეს ჩვენი მაღალიც ამ მზაკვრობის მარეალიზებელი ხომ არ არის? აღმოსავლეთ და დასავლეთ „გერმანიად“ ხომ არ გავიყოფით და „ბერლინის კედელი“ სურამის ქედზე ხომ არ გაშენდება?.. გამიხმეს ენა!..

ბერდია ბედოიძე

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



აშშ-ირანს შორის გართულებულ ურთიერთობებსა და ირანში საომარი მოქმედებების დაწყების ალბათობაზე, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით ამერიკელი პოლიტოლოგის ბჟეზინსკის მიერ გამოთქმულ საგულისხმო შეფასებებზე **„ინტერპრესნიუსი“** სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევათა ფონდის ხელმძღვანელს **ალექსანდრე რონდელს** ესაუბრა.

# რუსეთი მაინც თეთრი და პოლარული დათვია, რაც არ უნდა მაძღარი იყოს, შესაძლოა, რაიმეს მირთმევა კიდევ მოინდომოს

**—ბატონო ალექსანდრე, თეირანსა და ვაშინგტონს შორის მკაცრი განცხადებების ურთიერთგაცვლას ბოლო არ უჩანს. ირანმა უკვე განაცხადა, რომ ბირთვული პროგრამის ფარგლებში ურანის გამდიდრება დაიწყო. ვაშინგტონი არ ცხრება და აცხადებს, რომ ირანის ბირთვული პროგრამა ვაშინგტონისთვის ის წითელი ხაზია, რომლის გადაკვეთის უფლებას თეირანს არ მისცემს. პარალელურად ევროკავშირმა უკვე განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში ირანულ ნავთობზე ემბარგოს დააწესებს. თქვენი აზრით, როგორ განვითარდება პროცესები და რამდენად სავარაუდოა ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყება?**

—ჩვენ ახლა თვალყურს ვადევნებთ ფსიქოლოგიურ ომს აშშ-სა და ირანს შორის. ორივე მხარე იყენებს „ბლეფს“ რაც დასაშვებია. ორივე მხარე ბლეფობს, მაგრამ ირანი ალბათ უფრო მეტად. მას სჭირდება ამერიკისგან მტრის ხატის შექმნა, რაც ხელისუფლებას ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით კონტროლის გამკაცრებასა და საზოგადოების ხელისუფლების ირგვლივ კონსოლიდაციაში. რეალობა ასეთია — ირანი ვერ ახერხებს საერთაშორისო საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ მას არ უნდა ატომური იარაღის შექმნა. საერთაშორისო საზოგადოება ფაქტობრივად დარწმუნებულია, რომ ირანი ცდილობს ბირთვული იარაღის შექმნას. და თუ ირანმა ატომური იარაღი შექმნა, იგი მას ძალიან მალეც გამოიყენებს.

ირანის მიერ ატომური იარაღის შექმნა ყველაზე მეტად მიუღებელი ისრაელისთვისაა. ისრაელს ხელს აძლევს, რომ ირანის ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობა ამერიკამ აღკვეთოს. ამერიკას, გარდა იმისა, რომ ირანში სამხედრო ოპერაციას ხელს არ აძლევს, ესმის, რომ ამგვარი ოპერაციის განხორციელება არაეფექტიანი იქნება.

**— თუ ირანთან ომი მაინც დაიწყო, როგორ აისახება ეს საქართველოზე და, სავარაუდოდ, რა ნაბიჯების გადადგმა მოუწევს ოფიციალურ თბილისს?**

— ასეთ ვითარებაში ყველა შეეცდება თავისი ინტერესის რეალიზებას. ირანში ომის დაწყებით რუსეთი ნავთობზე ფასების ზრდის გამო ისევ დიდად მოიგებდა. ეს მას სტრატეგიული თვალსაზრისით არ უშველიდა, მაგრამ ტაქტიკური თვალსაზრისით, ალბათ მისთვის საკმაოდ კარგი იქნებოდა. მაგრამ, ომის დაწყება რეგიონში და მსოფლიოში ძალთა ბალანსს შეცვლიდა, ამისთვის კი რუსეთი მაინცდამაინც მზად არ უნდა იყოს. შესაძლოა, რუსეთს კიდეც უნდა, რომ ირანში რაღაც მოხდეს, მაგრამ არ იცის, რა შედეგით დასრულდება ეს და რამდენად კარგი იქნება მისთვის. ფაქტია, რომ ირანში მხოლოდ ერთი სადამსჯელო ოპერაციით არაფერი დასრულდება. შესაძლოა, ახლა რუსეთი იმას ანგარიშობს, რომ თუ რამე მოხდა, მან რა შეიძლება გააკეთოს. რა თქმა უნდა, რუსეთი შეეცდება კრიტიკული ვითარება გამოიყენოს და



ამ ხმაურში სამხრეთ კავკასიაში თავის გარკვეულ მიზნებს მიაღწიოს. არ არის გამორიცხული, მათ დაიწყონ საუბარი იმაზე, რომ სომხეთში რუსულ სამხედრო ბაზებს საფრთხე ემუქრებათ და ამ მიზეზით საქართველოსგან სამხედრო ტექნიკის ჩასატანად დერეფნის მიცემა მოითხოვონ. თეორიულად ეს გამორიცხული არაა.

შესაძლოა, მათ სხვა რამეც მოიმოქმედონ, ანუ აზერბაიჯანისგანაც მოითხოვონ რამე. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რუსეთს ახლა ისე არ აქვს საქმე, რომ სამხედრო მოქმედებები აწარმოოს. მაგრამ, თუ კრიტიკული ვითარება შეიქმნა, საკუთარი სარგებლის მისაღებად, შესაძლოა, გარკვეული ნაბიჯებიც გადადგან. თუ ასეთი ვითარება შეიქმნა, ძნელი სავარაუდო არ უნდა იყოს, რომ ამგვარ სვლას რუსეთი სწორედ საქართველოს მიმართ განახორციელებს. სომხეთში სამხედრო ტექნიკის ტრანზიტი, შესაძლოა, ჩვენთვის უფრო სერიოზულ სამხედრო საფრთხედ გადაიქცეს. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ვარაუდები რუსულ პრესაში აქტიურად არაერთგზის განიხილებოდა. აშკარაა, რომ ამ თემის საჯაროდ განხილვით რუსეთის ხელისუფლებამ საზოგადოებრივი აზრი მოსინჯა.

**— ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ პოლონურ ჟურნალ „ნიუსვიკ პოლსკას“ განუცხადა, რომ „პუტინი და მისი მეგობრები პოსტსაბჭოთა რეალობას არ აღიარებენ“. ბჟეზინსკიმ იმავე ჟურნალში, თავისივე საავტორო სტატიაში განაცხადა, რომ „აშშ-ის პოზიციების შესუსტების გამო საქართველო, უკრაინა და ბელარუსი საფრთხის ქვეშ არიან“. იგივე მიზეზი „კონფლიქტების საფრთხის შემცველია“ და „საქართველო რუსეთის მხრიდან პოლიტიკური დაშინებისა და სამხედრო აგრესიის თვალსაზრისით მგრძნობიარე ხდება“. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ინფორმირებული პოლიტოლოგის შემაშფოთებელი დასკვნები?**

— ბჟეზინსკის ეს შეფასებები კარგად ჯდება საერთაშორისო ურთიერთობების ხედვის მისივე კონცეფციაში. ჩემი აზრით, მას ლოგიკური დასკვნები აქვს გაკეთებული. თუ აშშ მართლაც იმდენად შესუსტდა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, მაშინ რუსეთი ამ სივრცის შევსებას შეეცდება და მოსკოვის მხრიდან პოსტსაბჭოურ ქვეყნებზე ზეწოლა გაძლიერდება. მაგრამ, მიატოვებს კი ამ ქვეყნებში აშშ საკუთარ ინტერესებს, რომელიც მას აშკარად აქვს, ეს კიდევ საკითხავია. მნიშვნელოვანია, ასევე, რომელი ქვეყნების მიმართ ექნება რუსეთს ნაკლები ინტერესი, ესეც კითხვაა. არ მგონია, ამერიკამ ასე იოლად დაუთმოს რუსეთს საქართველო.

**— აშკარაა, რომ რუსეთში საარჩევნო ციკლის დასრულების შემდეგ კრემლი საქართველოსთვისაც მოიცლის. იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისთვის საერთაშორისო ვითარება, სავარაუდოდ, ჩვენს სასარგებლოდ არ იქნება, თქვენი აზრით, როგორი იქნება ოფიციალური რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ?**

— პრეზიდენტის არჩევნების შედეგები რუსეთსა და ამერიკაში ძალიან ბევრ რამეს გაამკვეთრებს. ამ ქვეყნებს ბევრი რამის მიმართ უფრო მკვეთრი პოზიციები ჩამოუყალიბდებათ. ჩემი აზრით, არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ გარკვეული პერიოდით გაურკვევლობა იქნება. ამან ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს. ჩვენ ამგვარი პერიოდები არაერთი გავიარეთ. ამერიკაში პრეზიდენტების ცვლას გარკვეული პერიოდით ყოველთვის გაურკვევლობა მოსდევს ხოლმე. მას შემდეგ, რაც თეთრი სახლის ახალ ადმინისტრაციას ახალი ხედვები ჩამოუყალიბდება, ვითარება სწორდება. არ მგონია, რაიმე განსაკუთრებული მოხდეს და ჩვენც გადავრჩებით. მთავარია, ქვეყნის შიგნით იყოს ნორმალური ვითარება. მთავარია, ქვეყნის მშენებლობისა და დემოკრატიზაციის 20-წლიანი პროცესი უკან არ წავიდეს.

**კობა ბენდელიანი**

# საქართველო და სააკაშვილი მით რომნის რიტორიკაში ნახსენებიც არ არიან

**შეერთებულ შტატებში სერიოზულად დაიწყეს პრეზიდენტის არჩევნებისთვის მზადება. 12 იანვარს ნიუ-ჰემპშირის შტატის რესპუბლიკელები კენჭისყრით საკუთარ კანდიდატს აირჩევენ, რომელიც ნოემბრის არჩევნებში ბარაკ ობამას დაუპირისპირდება. თუკი, როგორც ეს მოსალოდნელია, მით რომნი გაიმარჯვებს, როგორც ეს გასულ კვირაში აიოვას შტატში მოხდა, დიდი ალბათობით სწორედ ის გახდება რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი. რა ვიცით რომნის, პოტენციური პრეზიდენტის, შესაძლო გეგმებზე იმ ტერიტორიების მიმართ, რომლებიც ბლოგ The Bug Pit-ის ინტერესის სფეროში შედის?**

ბევრი არაფერი ვიცით. ამ მხრივ ყველაზე უკეთ შეიძლება რუსეთთან დაკავშირებულმა მისმა რიტორიკამ გვიკარნახოს, რომელიც (რაც გასაკვირი არ არისძ აგრესიულობით გამოირჩევა. აი, რისი გაგება შეიძლება მისი წინასაარჩევნო შტაბის საგარეო-პოლიტიკური ანგარიშიდან:

„თანამდებობაზე მუშაობის დაწყების შემდეგ მით რომნი აპირებს „გადატვირთვის“ პოლიტიკის გადატვირთვას. მისი სტრატეგია მიმართული იქნება რუსეთის აგრესიული და ექსპანსიონისტური მოქმედებების შეკავებისკენ და მიესალმება დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიური რეფორმების განხორციელებას“.

„გადატვირთვის“ პოლიტიკის ორი ყველაზე სერიოზული შედეგი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში შემდეგია: 1. აშშ-მა რუსეთისგან მიიღო თანამშრომლობის გარანტია მიწოდებების ჩრდილოეთის მარშრუტის (სატრანსპორტო არტერია, რომლითაც ავღანეთი სამხედრო ტვირთებით მარაგდებაძ მოქმედების საკითხში. 2. ვაშინგტონი ერთგვარად გაემიჯნა საქართველოს (ყოველ შემთხვევაში, იმ ენერგიული დაახლოების ფონზე, რაც იყო ბარაკ ობამას წინამორბედის, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროსძ.

რომნის თქმით, მისი პოზიცია ბარაკ ობამასთან შედარებით ნაკლებად შემრიგებლური იქნება ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის საკითხში, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მიწოდებების ჩრდილოეთის მარშრუტის მოქმედებას (რუსეთმა არაერთხელ მიანიშნა, რომ ეს ორი საკითხი ურთიერთკავშირშიაძ. გარისკავს კი რომნი ასეთ ნაბიჯზე წასვლას? ზოგიერთებმა, შეიძლება არცთუ უსაფუძვლოდ, განაცხადონ, რომ რუსეთის გარშემო ანტისარაკეტო ფარის შექმნა აშშ-სთვის გრძელვადიან პერსპექტივაში გაცილებით სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე სატრანსპორტო დერეფანი იმ სამხედრო მოქმედებების თეატრისკენ, რომლის ბედიც უკვე გადაწყვეტილია, თუკი აშშ-ს ყველა შემთხვევაში გამოჰყავს თავისი ჯარი 2014 წელს. მაგრამ უდავოა, რომ სამხედრო მრჩევლები შეეცდებიან მის გადარწმუნებას, რადგან ეს ნაბიჯი ჩრდილოეთის მარშრუტის მოქმედებას საფრთხეს შეუქმნის.

საინტერესოა, რომ რომნის რუსულ რიტორიკაში საქართველო ნახსენები არ არის. საქართველო და მიხეილ სააკაშვილი ამერიკელ რუსოფობთა უმრავლესობის (ისეთების როგორიცაა 2008 წლის რესპუბლიკელი კანდიდატი ჯონ მაკკეინიძ გმირები არიან, თუმცა რომნის პროგრამაში, რომელშიც საუბარია რუსეთის „ექსპანსიონისტური ქმედებების“ საერთო საფრთხეზე, საქართველო საერთოდ არ არის ნახსენები. მეტიც, თავის ვებგვერდზე ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ რუსეთის აგრესიის ობიექტი, როგორი წარმოუდგენელიც არ უნდა იყოს ეს, ცენტრალური აზია გახდება. ამგვარად, რომნის ადმინისტრაციის პოლიტიკის მიზანი იქნება:

„რუსეთის ამბიციების შეკავება სამხრეთის მიმართულებით, დიპლომატიური კავშირების განმტკიცება, სამხედრო მომზადებისა და სამხედრო დახმარების გააქტიურება, სავაჭრო შეთანხმებების გაფორმება და გაცვლითი პროგრამების განხორციელება განათლების სფეროში ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან“.

**ჯოშუა კუცერა**

EURASIANET

## დედამიწის ზურგზე



**დნესტრისპირეთის ახალმა პრეზიდენტმა წარადგინა კრემლთან შეთანხმებული პრემიერის კანდიდატურა**

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ევგენი შევჩუკმა, დნესტრისპირეთის ხელმძღვანელად ვისი არჩევაც კრემლს არ სურდა, მოაწესრიგა ურთიერთობა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განახლებულ ადმინისტრაციასთან. რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი პიოტრ სტეპანოვი 1996-დან 2005 წლამდე ხელმძღვანელობდა „ტირასპოლტრანსგაზს“ და მჭიდროდ იყო დაკავშირებული „გაზპრომთან“.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კიმ ჩენ ირის გარდაცვალებისადმი „გულგრილ“ მოქალაქეებს შრომითი ბანაკები ემუქრებათ**




უკვე გლოვის უკანასკნელ დღეს – 29 დეკემბერს, ქვეყანაში დაიწყო სახალხო სასამართლოების სხდომები, რომლებზეც პარტიელები აკრიტიკებდნენ მათ, ვინც არ დასტიროდა ქვეყნის ლიდერის გარდაცვალებას. განსაკუთრებით ეს შეეხო მათ, ვინც გარდამავალ პერიოდში ბედავდა გაეკრიტიკებინა ჩრდილოეთი კორეის რეჟიმი.

* * *



**ორტეგამ მესამედ დაიწყო ნიკარაგუას პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება**

ინაუგურაციის ცერემონიას ესწრებოდნენ, კერძოდ, ვენესუელისა და ირანის პრეზიდენტები უგო ჩავესი და მახმუდ ახმადი ნეჟადი. ორტეგამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა საყოველთაო არჩევნებში შარშან ნოემბერში და დაიკავა უმაღლესი სახელმწიფო პოსტი მორიგი ხუთი წლის განმავლობაში.

* * *

**ობამამ განკარგულება გასცა, გაგზავნოს სამხედრო მრჩევლები სამხრეთ სუდანში**

როგორც პენტაგონმა დააზუსტა, ოფიცრები, როგორც ელოდებიან, არ მიიღებენ მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში, მაგრამ შეიარაღებული იქნებიან იმ შემთხვევისთვის, თუ მოუწევთ, დაიცვან თავიანთი სიცოცხლე. ისინი „შეუერთდებიან გაეროს სამშვიდობო მისიას ჯუბეში და ძირითადად იმუშავებენ სტრატეგიულ დაგეგმვასა და ოპერაციების შემუშავებაში“.



# სანივთო, ანუ ქონებრივი უფლება-მოვალეობანი

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი **ირინე ღლონტი**

**— მოიპოვებს თუ არა პირი მიწის ნაკვეთზე ან სხვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, თუ მას ეს საკუთრების უფლება არ შეუძენია, მაგრამ იგი შეტანილია საჯარო რეესტრში როგორც ამ ქონების მესაკუთრე?**

— მოქმედი კანონის თანახმად, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია მათზე საკუთრების უფლება, იგი მოიპოვებს ამ უფლებას, თუ რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს.

საყურადღებოა, რომ ნივთის მფლობელობა წყდება იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას.

მფლობელს, რომელიც სამართლებრივი საფუძვლით 10-წელზე მეტი ხნის განმავლობაში ფლობდა და იყენებდა ნივთს, აქვს ამ ნივთის უპირატესი შესყიდვის უფლება.

სამოქალაქო კოდექსი საკუთრებას ტრადიციულად განმარტავს, როგორც ნივთის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთობლიობას. მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთითძ, არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა.

**— სოფელში 17 წელია დაკავებული მაქვს მიწის ნაკვეთი, რომელიც როგორც მწერალთა კავშირის წევრს, მებაღეობის ამხანაგობამ საგარაკოდ დანარჩენ თანამშრომლებთან ერთად გამომიყო. ჩემს ნაკვეთს გავუკეთე რკინის ღობე, დავდგი წყლის ბაკი, სხვა აუცილებელი სათავსოები და ამოვაშენებინე სარდაფი, მაგრამ ცუდი ეკონომიკური პირობების გამო მშენებლობა ველარ გავაგრძელე.**

**გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ მოვიქცე, რომ მიწის ნაკვეთი დავიკანონო, ვის მივმართო, რა საბუთები წარმოვადგინო?**

— მიწის დაკანონების საკითხზე დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ განცხადებით ქ. თბილისის საკრებულოსთან არსებულ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაშიძ არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიას. განცხადებას დაურთეთ შემდეგი დოკუმენტები: პირადობის მოწმობის ასლი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი ქ.თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან (საჯარო რეესტრიდანძ ცნობა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი არავისზე არ არის რეგისტრირებული, რისთვისაც თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარუდგინოთ განცხადება და აღნიშნული ნაკვეთის სქემატური გეგმა, ცნობა იმის თაობაზე, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება თქვენს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთი, თქვენს მიერ დაკავებული აეროგადაღების ფოტო.

სასურველია განცხადებასთან ერთად წარადგინოთ მეზობლების განცხადებები, რომლებიც სანოტარო წესით დაადასტურებენ, რომ თქვენ მართლაც 17 წელია აღნიშნული მიწის ნაკვეთი დაკავებული გაქვთ; ნაკვეთის ფოტოსურათი, სადაც უნდა ჩანდეს თქვენს მიერ აშენებული სახლი.

აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად მესაკუთრეს ეკრძალება საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება; კერძოდ ის, რომ მისი მოქმედებით ილახებოდეს მეზობლის ან მესამე პირთა ინტერესები, მესაკუთრის სამოქალაქო უფლება ყველა შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს მართლზომიერად.

**— თუ შეიძლება, კონკრეტულად განგვიმარტოთ, რა მოქმედება ჩაითვლება მესაკუთრის უფლების ბოროტად გამოყენებად (იქნებ მაგალითიც მოგვიყვანოთ)?**

— კანონის თანახმად, მესაკუთრის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება მისი უფლების განხორციელება მარტო იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას (ასე მაგალითად, კანონი მესაკუთრეს უფლებას აძლევს მოჭრას იმ ხის ან ბუჩქის ფესვები, ტოტები, რომლებიც მის ნაკვეთზე გადმოვიდა; თუკი მესაკუთრეს ის არ აყენებს ზიანს, მაგრამ თუ იგი მაინც გამოიყენებს ამ უფლებამოსილებას, ეს მისი მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება იქნებაძ.

სამოქალაქო კოდექსი აღიარებს სარგებლობის თავისუფლებას. ესკი იმას ნიშნავს, რომ მესაკუთრე თვითონ წყვეტს ისარგებლოს თუ არა საკუთრების ობიექტით. კანონი ითვალისწინებს გამონაკლისებს, როცა შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება. მას მაშინ აქვს ადგილი, როცა ნივთის გამოუყენებლობა და მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს, კერძოდ, როცა საკუთრების ობიექტი განსაკუთრებულ სოციალურ-კულტურულ ფასეულობას წარმოადგენს.

სანივთო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეზობლო სამართალს. იგი ადრეც არსებობდა, ოღონდ ამ უფლების მომწესრიგებელი ნორმები პირველ რიგში შემონახული იყო ხალხის ტრადიციებში და სხვა სახის ნორმატიულ აქტებში, განსაკუთრებით საადგილმამულო კანონმდებლობაში.

სამეზობლო სამართლის გამოყენებისას სამეზობლო თმენის ვალდებულებასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ ამა თუ იმ კუთხეში გაბატონებული წესიც. მთავარია ის, რომ სამეზობლო სამართლებრივი დებულებები დისპოზიციურია და სამეზობლო სამართლებრივ დატვირთვებს აქვს სანივთო სამართლებრივი ხასიათი. მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლებამოვალეობებისა, ვალდებულნი არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი, ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლოა გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება. მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების და სხვა მსგავსი ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.



**— რა შემთხვევაში შეუძლია მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთზე ნაგებობის აშენების, ან ექსპლუატაციის აკრძალვა?**

— მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.

თუ მიწის ნაკვეთს მეზობელი ნაკვეთიდან შენობის ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება, მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს აუცილებელ ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დაუშვებელია რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გამდინარე და მიწისქვეშა წყლების მიმართულების შეცვლა ან ამ წყლებით მანიპულირება ისე, რომ ამან სხვა მიწის ნაკვეთზე წყლის რაოდენობის შემცირება ან ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს. დაუშვებელია აგრეთვე მდინარეთა ბუნებრივი დინების ხელყოფა.

ასევე მნიშვნელოვანია აუცილებელი გზის გამოყენების საკითხი. უფრო კონკრეტულად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს მეზობელს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს კი, რომელთა ნაკვეთებზეც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

**— გთხოვთ მიპასუხოთ, არის თუ არა კანონით გათვალისწინებული, არ წარმოიშვას აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება მესაკუთრესა და მეზობელს შორის და თუ არის, რა შემთხვევაში?**

— აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი მიწის ნაკვეთის უკვე არსებული დაკავშირების გაუქმება გამოიწვია მესაკუთრის თვითნებურმა მოქმედებამ. თვითნებურ მოქმედებად ჩაითვლება, მაგალითად, მეზობლის მიერ ხიდის დანგრევა, კედლის აღმართვა, სახლის აშენება, რის გამოც უქმდება აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან თუ სხვა ობიექტთან.

თუ მიწის ორი ნაკვეთი ერთმანეთისაგან გამიჯნულია ღობით ან საზღვრად გამოყენებული სხვა ნაგებობით, ივარაუდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აქვს თანაბარი უფლება ისარგებლოს ამ ნაგებობით, თუ ამ ნაგებობის გარეგნული მხარე პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი მხოლოდ ერთ-ერთი მეზობლის საკუთრებაა. მსგავსი ნაგებობის მოვლისა და შენახვის ხარჯები მეზობლებს შორის თანაბრად ნაწილდება.

აღსანიშნავია, რომ ვიდრე ერთ-ერთი მეზობელი დაინტერესებულია ამ სასაზღვრო ნაგებობის არსებობით, დაუშვებელია მისი აღდგენა ან შეცვლა დაინტერესებული მეზობლის თანხმობის გარეშე. სასაზღვრო კედლით სარგებლობის უფლება თითოეულმა მეზობელმა ისე უნდა განახორციელოს, რომ ამით ზიანი არ მიადგეს მეორე მეზობლის შესაბამის უფლებას. ასე მაგალითად კედლით სარგებლობისას დაუშვებელია სარკმლის გაკეთება. სასაზღვრო ნაგებობის არამიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში მეზობელს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების აღკვეთა.

თუ საზღვრად გამოყენებული ნაგებობა ორივე მეზობლის ინტერესებს ემსახურება, მისი აღება და შეცვლა ურთიერთშეთანხმებით უნდა მოხდეს.

ბევრ მკითხველს აინტერესებს, როგორი წესით ხდება საკუთრების შეძენა. მოქმედი კანონიდან გამომდინარე, განვმარტოთ, რომ უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა შეუძლია როგორც გამსხვისებელს, ისე შემძენს.

**— რა იგულისხმება სანოტარო წესით დამოწმებულ საბუთში?**

— ასეთი საბუთი შეიძლება იყოს: ნასყიდობის ხელშეკრულება, ჩუქების ხელშეკრულება და გაცვლის ხელშეკრულება. ერთ-ერთი საბუთი, რომელიც საჭიროა უძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად, შეიძლება იყოს ანდერძი.

მესაკუთრის მიერ თავისი ნივთის განკარგვის უფლება იმასაც გულისხმობს, რომ მას შეუძლია უარი თქვას საკუთრებაზე – მიატოვოს საკუთარი ნივთი. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მისატოვებლად აუცილებელია: 1ძ უფლებამოსილი პირის მიერ განცხადების შეტანა საჯარო რეესტრის სამსახურში; 2ძ ამ განცხადების რეგისტრირება საჯარო რეესტრში. მიტოვებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას იძენს სახელმწიფო. თუ გამსხვისებელი მესაკუთრედაა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შემძენს ყოველგვარი სხვა საფუძვლის გარეშე შეუძლია ჩათვალოს, რომ გამსხვისებელი ამ უძრავი ქონების მესაკუთრეა.

მოძრავი ნივთის გადაცემა გულისხმობს ნივთის ჩაბარებას შემძენის პირდაპირ მფლობელობაში, თუმცა ნივთის გადაცემად ითვლება არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემაც. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე შემძენი ხდება, მაგრამ ნივთი განსაზღვრული დროის განმავლობაში წინა მესაკუთრესთან რჩება. მაგ: ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ შემძენი ნივთის მესაკუთრე გახდება ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მაგრამ ნივთი განსაზღვრული დროის განმავლობაში დარჩება გამყიდველის მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრე (გამყიდველიძ პირდაპირი მფლობელია, ხოლო შემძენი (მყიდველიძ –არაპირდაპირი.

**— როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როცა ნივთი გასხვისების დროს , ფაქტობრივად, უკვე შემძენის მფლობელობაში იყო?**

— თუ მოხდა ისე, რომ ნივთი მისი გასხვისების ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შემძენის მფლობელობაშია, კანონის თანახმად, იგი გადაცემულად ჩაითვლება ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მაგალითად, თუ პირი შეიძენს დაქირავებულ ნივთს, რომელიც ქირავნობის ხელშეკრულებით მის მფლობელობაში იყო.

კანონით შემძენი შეძენილის მესაკუთრე გახდება, თუ იგი კეთილსინდისიერი შემძენია. შემძენი კეთილსინდისიერად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ ნივთის გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე. წინააღმდეგ შემთხვევაში მის არაკეთილსინდისიერ შემძენად ჩაითვლება.

**— რა შემთხვევაში ითვლება მოძრავი ნივთი უპატრონოდ და შეიძლება თუ არა ნებისმიერი პირი გახდეს უპატრონო მოძრავი ნივთის მესაკუთრე?**

— ნივთი, რომელსაც მესაკუთრე მიატოვებს საკუთრებაზე უარის თქმის მიზნით, უპატრონო ნივთად ითვლება. უპატრონო მოძრავ ნივთს შეიძლება დაეუფლოს ყოველი პირი და გახდეს მესაკუთრე, მაგრამ ამ წესიდან კანონი ითვალისწინებს გამონაკლისებს. მოძრავ უპატრონო ნივთზე ნებისმიერი პირი ვერ შეიძენს საკუთრების უფლებას, თუ ნივთის მითვისება კანონითაა აკრძალული (მაგ: მიტოვებულია ნარკოტიკული საშუალება, ცეცხლსასროლი იარაღი და სხვაძ და ვერც მაშინ, თუ უპატრონო ნივთის მითვისებით ირღვევა იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა.

დაკარგული ნივთის მპოვნელი ვალდებულია ამის შესახებ განუცხადოს ნივთის დამკარგავს, მესაკუთრეს, უფლებამოსილ პირს, ან თუ მათი ვინაობა უცნობია, პოლიციას ან სხვა ადგილობრივ ორგანოს გადასცეს ეს ნივთი. თუ დაკარგული ნივთის მისაღებად უფლებამოსილი პირი არ გამოჩნდა განცხადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, მპოვნელი იძენს საკუთრებას ნაპოვნზე. ეს წესი არ გამოიყენება, ანუ მპოვნელი ვერ გახდება მესაკუთრე, თუნდაც ერთი წლის გასვლის შემდეგ, თუ მპოვნელისათვის ჯერ კიდევ ერთი წლის გასვლამდე გახდა ცნობილი მესაკუთრე, ან პოლიციაში უკვე განცხადებული იყო მესაკუთრის უფლება ნივთზე.

**— თუ უფლებამოსილი პირი იბრუნებს დაკარგულ ნივთს, აქვს თუ არა უფლება მპოვნელს მოსთხოვოს მას გარკვეული თანხა საჩუქრად?**

— დიახ, კანონის თანახმად ნივთის მპოვნელს აქვს უფლება, უფლებამოსილი პირის მიერ ნივთის დაბრუნების შემთხვევაში მოსთხოვოს მას ჯილდო (საპოვნელიძ ნივთის ღირებულების ხუთ პროცენტამდე და ნივთის შენახვის ხარჯების ანაზღაურება (თუ ნივთი მპოვნელთან ინახებოდაძ.

თუ აღმოჩენილია საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა (განძიძ, მაშინ საკუთრება სანახევროდ გადადის აღმომჩენზე და იმ მესაკუთრეზე, რომლის ნივთშიც იქნა განძი ნაპოვნი.

**— რა სახის ქონება შეიძლება ჩაითვალოს განძად? არის თუ არა განძი ყოველი დამალული ქონება და პრაქტიკულად, როგორ ნაწილდება იგი აღმოჩენის შემთხვევაში?**

— განძად შეიძლება ჩაითვალოს დამალული ფასეულობანი (მიწაში ჩაფლული, კედელში დატანებული, ხის ღრუში ჩამალული და ა.შ.ძ, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია, რომ ყოველი დამალული ქონება განძად არ ჩაითვლება, – არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია. განძად ითვლება: ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ეროვნული და უცხოური ვალუტა ან სხვა ძვირფასი საგნები, ძვირფასი ქვები, ძვირფასი ლითონის ნაკეთობის ან ჯართის სახით. მაგ: თუ მუშები არხის გაჭრის დროს აღმოაჩენენ განძს, ნახევარი მათ, ხოლო მეორე ნახევარი მიწის მესაკუთრეს ეკუთვნით.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებული კანონით რეგულირდება ის ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ისეთი განძის აღმოჩენისას, რომელიც ისტორიისა და კულტურის ძეგლებს მიეკუთვნება.

სანივთო სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ თქვენთვის საინტერესო დანარჩენ საკითხებზე საუბარს სათაურით, „როგორ გავხდეთ ქონების მესაკუთრე“, ჩვენი გაზეთის შემდგომ ნომერში განვაგრძობთ.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 6

იმრავლოს!

# ეს უკვე დონეა...







**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტ დავით გოგეჯიშვილთან ერთად სპორტკომპლექსი „არენა“ გახსნა. აღნიშნული სარბიელის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2011 წელს დაიწყო.**

შენობას ჩაუტარდა სრული კაპიტალური რემონტი, განახლდა მთავარი სპორტული დარბაზი, დაიგო თანამედროვე სტანდარტების საფარი ხელბურთის, კალათბურთის, ფუტსალის და ფრენბურთისათვის.

დარბაზი 1600 მაყურებელზეა გათვლილი. ასევე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 25-მეტრიან საცურაო აუზს, კეთილმოეწყო გასახდელები, საშხაპეები, თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა დარბაზის ჰოლი და გარე ფასადი, მოეწყო საკონფერენციო ოთახები, საბილიარდო, სასადილო და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები. 2012 წელს სამშენებლო სამუშაოები განახლდება: დაგეგმილია 20-ნომრიანი სასტუმროსა და სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობა, გარდა ამისა, რამდენიმე სათადარიგო დარბაზის და ტირის სრული რეაბილიტაცია.

სპორტკომპლექსი კერძო ინვესტიციით გარემონტდა. „არენას“ დამფუძნებელია გურამ გოგოლაძე, დირექტორი კი – დავით სილაგავა.

**ლადო ვარძელაშვილი:** „სპორტკომპლექს „არენას“ რეაბილიტაცია მოხდა თანამედროვე სტანდარტებით, რაც სპორტის სხვადასხვა სახეობების წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს იდეალურ პირობებში ივარჯიშონ, ფედერაციები კი საქართველოს პირველობებს კეთილმოწყობილ დარბაზებში გამართავენ. სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესი წლეულსაც გაგრძელდება, ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქართული სპორტის განვითარებას“.

**დავით გოგეჯიშვილი:** „სპორტკომპლექს „არენას“ რეაბილიტაცია მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. მითუმეტეს, რომ 2015 წელს თბილისი ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს, ასეთი დარბაზები კი ნამდვილად გვჭირდება და, რაც, ყველაზე სასიხარულოა, თანამედროვე სტანდარტებსაც აკმაყოფილებს“.

კალათბურთი

## ცინცაძეს ლიტველი ექიმები აკვირდებიან

**ცნობილი გახდა, რომ საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების უკანახაზელი გიორგი ცინცაძე ვილნიუსში გაემგზავრა, სადაც 18 იანვრამდე ლიტველი ექიმები ქართველი კალათბურთელის ნაოპერაციევი ფეხის ამჟამინდელ მდგომარეობას დააკვირდებიან. ცინცაძე სამშობლოში 19 იანვარს დაბრუნდება.**



გიორგი სუპერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „ოლიმპთან“ ერთად ხორვატეთში იმყოფებოდა, სადაც ეს გუნდი შეკრებას გადის. იგი ლიტვაში ხორვატეთიდან გაემგზავრა.

შეგახსენებთ, რომ “ევროზასკეტ-2011“-ზე ცინცაძე მე-2 ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში, მაკედონიასთან თამაშისას დაშავდა - ფეხის ჯვარედინი იოგი გაიწყვიტა და საოპერაციო გახდა. „ბუმ“ (გიორგი ცინცაძის მეტსახელია) ოპერაცია ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დასრულების შემდეგ, 22 სექტემბერს, ლიტვაში გაიკეთა. ამის შემდეგ, იგი სამშობლოში დაბრუნდა და რეაბილიტაციას თბილისში გადიოდა.

ერთი კვირის შემდეგ გახდება ცნობილი, თუ რა პროგრამით გააგრძელებს ცინცაძე ნაოპერაციევი ფეხის შემდგომ მკურნალობას.

ქუჩა სავსეა მოულოდნელობით

## ღვედის ღალატის შედეგი



**შობის ღამეს სიკვდილს ძლივს გადაურჩა დონეცკის „შახტარის“ რუმინელი თავკაცი მირჩა ლუჩესკუ, რომელიც მშობლიური ბუქარესტის ქუჩებში საკუთარ ავტომობილს ღვედის გარეშე მართავდა და შემხვედრ სატრანსპორტო საშუალებას შეეჯახა.**

ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ კარპატელ მწვრთნელს სხვადასხვა სახისა და სიმძიმის დაზიანებებთან ერთად 7 ნეკნი ჰქონდა გატეხილი, რის გამოც 3 ქირურგის მიერ მისთვის გაკეთებულმა ოპერაციამ 2 საათს გასტანა:

„მართალია, ნეკნების ტრავმებმა ჰემატომა წარმოქმნა, მაგრამ წარმატებული ქირურგიული ჩარევის შედეგად პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, თუმცა ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ნებისმიერ ოპერაციას, არაა გამორიცხული, გართულებები მოჰყვეს“ – აცხადებს ერთ-ერთი დასტაქარი და დასძენს, რომ ექიმთა მხრიდან რამდენიმედღიანი დაკვირვებისა და მეთვალყურეობის შემდეგ შეეცდებიან, დაზარალებულმა, რაც შეიძლება, მალე დატოვოს კლინიკა.

**და ბოლოს:** დონბასური კლუბის პრეზიდენტმა რენატ ახმეტოვმა გადაწყვიტა ლუჩესკუს დაბრუნებამდე თვითონ ავარჯიშოს შეგირდები(!ძ.

დაფასება

## ჩვენი კაცი კრივის სამყაროში

**მსოფლიოს კრივის ასოციაციამ საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი ასოციაციის ტექნიკურ დელეგატად აირჩია. ახალკაცი პირველი ქართველი გახდა, ვინც მსოფლიოს ასოციაციის ტექნიკური დელეგატი გახდა და უფლება მიიღო სხვადასხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე და ოლიმპიურ თამაშებზე ტექნიკურ დელეგატად იმუშაოს.**

მსოფლიოს კრივის ასოციაციას სულ 18 ასეთი დელეგატი ჰყავს, აქედან 8 ევროპელია. მნიშვნელოვანია, რომ ვლადიმერ ახალკაცმა ზუსტად იგივე სტატუსი ევროპის კრივის ასოციაციისგან ერთი წლის წინათ მიიღო და რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირზე დელეგატის მოვალეობაც შეასრულა. მსოფლიოს კრივის ასოციაციის დელეგატის რანგში კი დებიუტი ივნისში, ბულგარეთში გასამართ კადეტ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე ექნება.



ინტერნეტიდან

### საშინელი ავარია „დაკარზე“

**ადრე უკვე ვწერდით წლევანდელ ავტორალ „დაკარზე“ მომხდარ უბედურ შემთხვევებზე. და აი, მოვიდა ცნობა კიდევ ერთ დიდ ავარიაზე. მეცხრე, ყველაზე გრძელი დისტანციის 375-ე კილომეტრზე გადაბრუნდა დიდი სისწრაფით მიმავალი სატვირთო „ტატრა“.**

მანქანა გზიდან გადავარდა, მისი ნაწილები კი 50-60-მეტრიან რადიუსზე მიმოიფანტა. მძღოლი პაპარაისი მხოლოდ მცირე ჭრილობებით გადარჩა. ყველაზე სერიოზულად დაშავდა მექანიკოსი, რომელიც ამ დროს საჭეს უჯდა. მას თავის მძიმე ტრავმა აქვს და ირგვლივ ყველაფერი სისხლით მორწყა. ეკიპაჟის დანარჩენი წევრები ავარიის ადგილიდან ვერტმფრენით გადაიყვანეს.



როგორც შემდეგ გაირკვა, საჭესთან მჯდომ მექანიკოსს ჩაეძინა და მანქანაც გადაბრუნდა. ის კაბინით შეასკდა გზისპირზე ნაყარს და 6-7 ასეთი ნაყარიც გაიტანა.

### მსაჯზე თავდასხმისთვის

**თუმცა ეს შემთხვევა თითქმის 5 წლისაა, მაგრამ დანიის სასამართლომ მასზე აპელაცია მხოლოდ ახლა განიხილა და უარყო.**

2007 წლის 2 ივნისს დანიელი ფანატი ნორვეიგი ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩზე, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ დანიისა და შვედეთის ნაკრებები, კოპენჰაგენის სტადიონის მინდორზე შევარდა და მსაჯის ცემა დააპირა, რომელმაც პენალტი დანიშნა შვედეთის სასარგებლოდ. თუმცა მომხდური დანიელმა ფეხბურთელებმა შეაჩერეს, მაგრამ მატჩი მაინც ჩაიშალა, დანიის ნაკრებს ჩაეთვალა დამარცხება 0:3, ხოლო დანიის ფეხბურთის ასოციაცია დააჯარიმეს 2,2 მილიონი კრონით.



თავიდან ნორვეიგი დააჯარიმეს 900 ათასი კრონით. გულშემატკივარმა აპელაცია შეიტანა, ამტკიცებდა რა, რომ არ შეუძლია ამ თანხის შეგროვება.

სააპელაციო სასამართლომ, ფეხბურთის ასოციაციის მოთხოვნით, შემცირების ნაცვლად თანხა გააორმაგა. ახლა ნორვეიგი ვალდებულია ასოციაციას გადაუხადოს 1,8 მილიონი კრონი (242 000 ევროძ, ხოლო ამას გარდა 20 დღე ციხეში უნდა გაატაროს. როგორც ვაი-გულშემატკივარმა განაცხადა, ამ თანხის გადახდით ის გაღატაკდება, თანაც ამტკიცებს, რომ იმ „იდიოტური შემთხვევის“ დროს მთვრალი იყო. შესაძლოა, მან დანიის უმაღლეს სასამართლოში იჩივლოს.

### თამარამ ყველას აჯობა

**ესპანეთში ფეხბურთელების ცოლებსა და საყვარლებს შორის 2011 წლის შედეგების მიხედვით საუკეთესოდ აღიარეს ლისაბონის „ბენფიკას“ ნახევარმცველის ეზეკილ გარაიას გერლფრენდი თამარა გორო. ლამაზმანი მოდელი ადრე მონაწილეობდა „2009 წლის ესპანეთის მისსის“ კონკურსში, მაგრამ დამარცხდა. ახლა კი 32 ათასი ხმა ეყო, რათა გამხდარიყო საუკეთესო WAG – ბრიტანეთის პრესა ასე უწოდებს ფეხბურთელთა ცოლებსა და საყვარლებს.**



თამარამ მოაგროვა ხმების 29 პროცენტი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ესპანელი მეკარის დავიდის გულისვარდმა დე რეა ედურნემ – 17 პროცენტი, ხოლო კრიშტინუ როლანდოს საცოლემ ირინა შეიკმა – 13 პროცენტი. მხოლოდ მეექვსე ადგილზე გამოვიდა 2010 წელს ასეთ კონკურსში გამარჯვებული „ინტერის“ ფეხბურთელის დიეგო ფორლანის ყოფილი სატრფო ზაირა ნასა.

შეფასება

# ტერენტისთან ერთად გაუმარჯოს რეზო ადამიას!




**ზეციური განგებისაა გზაც და წამიც, ბედისწერაც და ყველა შემთხვევა, რომლის მნიშვნელობასაც სიყვარული განაგებს, მოგეხსენებათ, ღმერთი სიყვარულია.** და თუ რაცა ვთქვი, ჭეშმარიტებას შეეფარდება, მაშინ ისიცა ვთქვათ, პოეზიაც უხილავი მუზიდან მოდის და თავად პოეტმა უნდა გახადოს ხილვადი, ეს ყველაფერი კარგად იცის ბრწყინვალე მხატვარმა რეზო ადამიამ, რომელმაც მართლაც რომ ზეციური უსაზღვროება აღიარა ტერენტი გრანელისა. კოსმიური ძალა არსებობს ციომოვლენილ ნიჭიერებაში, თორემ როგორ იტყვი:

**საღამო, — კანკალი სინათლის,**
**ირგვლივ დაწოლილი ნისლი,**
**ფარული წამების ლანდი,**
**პოეტის ცრემლი და სისხლი.**

მე ტერენტი გრანელის პოეზიას კარგად ვიცნობ და არახალია ჩემთვის მისი ბრწყინვალე სტრიქონები, დიახ, არ მიკვირს, როცა ტერენტი ამბობს:

**სული გაფრინდა თეთრი**
**მტრედივით,**
**სხეული დარჩა ცოდვილ**
**მიწაზე!**

მე ის მიკვირს, როცა მხატვარი მწერლად იქცა და ტერენტი გრანელს ახლებურად აღმოუჩენს მკითხველს. **რეზო ადამიას წიგნი „უკვდავება სიკვდილში“, სრულიად გამორჩეული შედევრია.** მიხარია, რომ წავიკითხე და მხატვარი კაცი მწერლად წარმოჩნდა.

მაშ, არ არის სასწაული, ტერენტი გრანელს, ამ რჩეულ შემოქმედს 880 გრაფიკული ნამუშევარი აღმოუჩინო? დიდი მადლობა, ჩემო რეზო, ყოჩაღ რომ საქართველოს ემსახურები შენი ნიჭითა და შენი შემოქმედებით.

**ჯანსუღ ჩარკვიანი**
**2011 წლის 6 დეკემბერი.**

ინფორმაცია

# მოსკოვთან ახლოს ქართველმა ძმებმა რუსი „თოვლის ბაბუა“ მოკლეს

**მოსკოვთან ახლოს მდებარე ორეხოვო-ზუევოს მცხოვრები, 30 წლის დიმიტრი და მისი მეუღლე 29 წლის ევგენია ახალი წლის მისალოცად ნაცნობთან მივიდნენ. დიმიტრის თოვლის ბაბუას კოსტიუმი ეცვა, ევგენიას კი ფიფქიასი. მათ თან ჰყავდათ 7 წლის ქალიშვილი. ოჯახი ახალი წლის მოსალოცად ურიცკის ქუჩაზე მცხოვრებ ნაცნობ, ვინმე სვეტლანას ესტუმრნენ.**

**ძიების ინფორმაციით, ბინაში მასთან ერთად საქართველოს მკვიდრი, უმუშევარი, 30 წლის შავლეგ გოშაძე და დღესასწაულზე სტუმრად ჩასული მისი 27 წლის ძმა — კობა იმყოფებოდნენ. შეკრებილები ახალ წელს აღნიშნავდნენ და სპირტიან სასმელებს სვამდნენ.**

**— რაღაც მომენტში დიმიტრის არ მოეწონა, როგორ უყურებდა კობა მის მეუღლეს. იგი დარწმუნებული იყო, რომ „ფიფქიას“ ეარშიყებოდნენ. დაიწყო კამათი, შავლეგმა ძმის დაცვა სცადა. დიმიტრიმ ევგენიას სთხოვა, შვილი სახლში წაეყვანა, თავად კი სვეტლანას ბინაში საქმის „კაცურად“ გასარჩევად დარჩა, — წერს „მასკოვსკი კამსამოლეცი“.**

**სტუმარი და ძმები სადარბაზოში, კიბესთან გავიდნენ, სადაც ჩხუბი დაიწყო. გამოძიების ვერსიით, შავლეგ გოშაძემ დიმიტრის სამზარეულოს დანით გულმკერდის არეში ჭრილობა მიაყენა. შემდეგ ძმები ბინაში შებრუნდნენ და დაჭრილს კარი მიუკეტეს. დიმიტრიმ ერთ-ერთ მეზობელს სასწრაფოს გამოძახება სთხოვა, თუმცა, იგი ექიმების მისვლამდე გარდაიცვალა.**

**ინტერპრესნიუსი**

გასული წლიდან გადმოყოლილი...

# კიდევ ერთი სადიდებელი ვაჟას გენიისა




**ეს მონოგრაფია შარშან გამოგვიგზავნეს უშანგი და იოსებ ჯანგირაშვილებმა. „ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროში“ ჰქვია მონოგრაფიას და მასში ვეცნობით ლიტერატურულ წერილებს, რომელთა ავტორები უშანგი და იოსებ ჯანგირაშვილები განიხილავენ ჯოყოლას მხატვრულ სახეს „სტუმარ-მასპინძელში“, ვაჟას გმირთა ზნეობრივ მისწრაფებებს...** ღრმა დაკვირვების საფუძველზე ბევრ ისეთ საკითხს სცემენ პასუხს, რომლებიც დღემდე აინტერესებთ გენიალური პოეტის თაყვანისმცემლებს და ამით, ცხადია, დიდ სამსახურს უწევენ, ასე ვთქვათ, „ვაჟალოგიას“, რომელიც სულგანათლებული პროფესორის გრიგოლ კიკნაძის გარდაცვალების შემდეგ ცოტათი მინავლდა... ასე რომ, ჩვენს მკითხველს და, უპირველესად, სამეცნიერო საზოგადოებას მადლობის მეტი რა ეთქმის უშანგი და იოსებ ჯანგირაშვილების მიმართ, რომელთა ავტორობით ეგზომ საინტერესო წიგნს გავეცანით. წიგნის რეცენზენტია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ტრისტან მახაური, რედაქტორი თემურ ჩალაბაშვილი.

## ლექსო, ამოგთქომ!..

**ეს სათაური ტყუილ-უბრალოდ არ შემირჩევია ელგუჯა ლებანიძის ლექსების კრებულის — „აისიდან დაისამდე“ — მკითხველისთვის წარსადგენად...**




შეიძლება ითქვას, მთელი ცხოვრება მიუძღვნა ქართულ ჟურნალისტიკას ელგუჯა ლებანიძემ, მაგრამ ცხოვრების ნაშუადღევს, ეტყობა, შეაწუხა მუზამ და ჯერ რომ შესანიშნავი მოთხრობები შემოგვთავაზა, ახლა ლექსების კრებულიც გაგვაცნო — „აისიდან დაისამდე“.

შეიძლება ითქვას, რომ ნაღდი ლექსებით სავსეც გამოუვიდა ეს კრებული ჩვენს ელგუჯას. ვის აღარ სწვდება მისი მხურვალე გული — კრებულში სამშობლო, მშობელი, მეგობარი და ახლობელი ერთ სუნთქვად შეკრავს პოეტს და ამ სუნთქვის თანაზიარს გვხდის.

**„მე შენს სიყვარულს აკვნიდან ვჩემობ,**
**სულში ბრიალებს წმინდა კანდელი,**
**შენ ლაზარე ხარ, მამულო, ჩემო,**
**და უფლის ხელის შეხებას ელი!“**

რამდენი ასეთი გულთბილი სტრიქონია ელგუჯა ლებანიძის ლექსების კრებულში!..

ღმერთმა სითბო არ მოაკლოს შენს გულს, ჩემო გუჯა!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ჩვენი კარაბადინი

# შაქარმა რომ არ გაგვამწაროს!

**„სამსახურისკენ მიმავალი ცუდად გავხდი. ექიმთან მალე ვერ მოვხვდი. ამ დროს შაქარმა საშინლად ამიწია. ექიმმა დამისვა დიაგნოზი: ინსულინზე დამოუკიდებელი მე-2 ტიპის დიაბეტი. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე“.**

**ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო ამ შეკითხვას უპასუხებენ უმაღლესი კატეგორიის ექიმი-ენდოკრინოლოგები.**

**ვინაიდან წამალი ყოველ ავადმყოფს ინდივიდუალურად უნდა გამოეწეროს, თქვენს ყურადღებას გავამახვილებ მოსამზადებლად საკმაოდ მარტივ მისაწვდომ ფიტონაკრებებზე, რაც დაგეხმარებათ შაქრის დაწევაში.**

● **ძალზე ეფექტურია დაფნის ფოთლების ნაყენი.** 10 ფოთოლს დაასხით 3 ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 2-3 საათი, გაწურეთ და სვით 0,5 ჭიქა დღეში 3-ჯერ.

● **შაქრის დაწევაში დაგეხმარებათ შვრიაც, მაგრამ გაწმენდილი კი არა, ჩენოჩიანი.** 30 გრამ მარცვალს დაასხი 300 გრამი მდუღარე წყალი. გააჩერეთ 36 საათი, შემდეგ წამოადუღეთ 20 წუთით, შემდეგ ისევ გააჩერეთ 2 საათით. გაწურეთ და სვით ნახევარ-ნახევარი ჭიქა დღეში სამჯერ, ჭამის შემდეგ.

● **ყველასთვის კარგად ცნობილია მრავალძარღვა.** 15 გრ. დაქუცმაცებულ ფურცლებს დაასხით 300 გრამი მდუღარე წყალი, წამოადუღეთ 5 წუთით, გააჩერეთ 3 საათს, გაწურეთ და მიიღეთ თითო სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ ჭამის წინ.

ზემოთ მოტანილი „რეცეპტები“ აწესრიგებენ გაცვლით პროცესებს, გამოაქვს წიდები, ამცირებენ შაქრის დონეს.

არ შეიძლება უარის თქმა დიაბეტურ ნაკრებებზე, აფთიაქებში რომ იყიდება, მაგალითად არაფეზიტინის ჩაიზე.

**უეჭველად სასარგებლოა ნაკრებები, რომელთა შემადგენლობაშია მოცვი. ის ძალზე კარგად მოქმედებს სისხლ-ძარღვებზე, ამცირებს შაქარს სისხლში.**

შეიძლება ნაკრების მომზადება მოცვის ფოთლებისა და ლობიოს ფხებისგან. თანაბარი რაოდენობით აღებულ ორ სუფრის კოვზ მათ ნაკრებს დაასხით ნახევარი ლიტრი მდუღარე წყალი, ადუღეთ 10 წუთი, გაწურეთ და სვით დღის განმავლობაში თანაბარ ნაწილებად. ან კიდევ ძალზე ხელმისაწვდომი მეორე ვარიანტი: 5 ნაწილი მოცვის ფოთლების, იმდენსავე ჭინჭრისა და 2 ნაწილ შავი ანწლის ნაკრებიდან აღებულ 1 სუფრის კოვზს დაასხით 200 გრამი მდუღარე წყალი, გააჩერეთ 20 წუთი, გაწურეთ და სვით დღეში სამჯერ თანაბარი რაოდენობით.



პაციენტებს ვურჩევ არამარტო მოცვის, არამედ ხენდროს ჭამასაც, რადგან მათში ბევრი ვიტამინებია. შეიძლება მოცვის გაყინვაც და გახმობაც. ორივე სახით ის ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს და მისი ჭამა შეიძლება არა მხოლოდ სეზონის, არამედ მთელი წლის მანძილზე.

სასურველია, მთელი წლის მანძილზე თქვენს სუფრაზე იყოს აგრეთვე შტოსი, აგრეთვე წითელი მოცვი. დაამზადეთ მათგან მორსი. დაამატეთ ის ჩაის ან კომპოტს.

ჩვენს ორგანიზმს შტოსი ან მოცვი იმიტომ სჭირდება, რომ მოაწესრიგოს საშარდე-სასქესო სისტემა, რადგან შაქრის დიაბეტის დაწყებიდან 7 წლის შემდეგ შეიძლება, განვითარდეს ქრონიკული პიელონეფრიტი.

ცნობილია, რომ დიაბეტის განვითარებას ხელს უწყობს ზედმეტი წონაც. ამ დროს ბევრს შეცდომით მიაჩნია, რომ თუკი ისინი ცოტას ჭამენ, გახდებიან. არაფერი ამისთანა არ ხდება! რათა გახდეთ, უნდა ჭამოთ! სასურველია, ყოველ სამ საათში (ე. ი. საჭიროა ექვსჯერადი კვება) მცირე-მცირე ულუფებით — ერთი ჭიქის მოცულობით. ზედმეტწონიანმა ქალებმა უნდა დაიცვან დღეში 1200-კილოკალორიანი ნორმა, მამაკაცებმა კი შემოისაზღვრონ 1500 კილოკალორიით. წონაში 5 კილოგრამის დაკლებაც კი ამცირებს შაქარს.

საჭმლის ყოველი მიღების წინ, და არა მხოლოდ დილის საუზმის წინ, დალიეთ ჭიქა წყალი. ზრდასრულ მამაკაცს სჭირდება 30 მილიგრამი წყალი წონის 1 კილოგრამზე, ან არანაკლები ორი ლიტრისა დღეში. დილით წყლის დალევა სავალდებულოა იმიტომ, რომ დილის საათებში სისხლი უფრო სქელია, ვიდრე დღისით.

ახლა კი იმაზე, რაც ფიზიკურ დატვირთვას შეეხება. მე-2 ტიპის დიაბეტს უყვარს ზარმაცები. ეცადეთ, ყოველდღე იაროთ სულ ცოტა ერთი საათი მაინც, თქვენთვის სასურველი ტემპით, მაგრამ რეგულარულად!

ზამთარი დადგა, თხილამურების დროა. თუკი სხვადასხვა გარემოების გამო ამის საშუალება არა გაქვთ, მაშინ სახლში მჯდომარემ გააკეთეთ წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ გადახრები, ფეხები გადადგით ქუსლებიდან წვერებისკენ იმდენჯერ, რამდენიც შეგეძლებათ.

ასეთი უბრალო მოძრაობებიც კი უჯრედებს ჟანგბადით ავსებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ცხიმის წვასა და ამცირებს შაქრის დონეს სისხლში.

**გაზეთი „ЗОЖ“ №24, 12.2011.**

შპს „ჯანმრთელობის ცენტრის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ პაატა ბურჭულაძეს დედის

**ნუნუ ბურჭულაძის**

გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი თანაუგრძნობს თამარ ჩიკვილაძეს და დავით ჭინჭარაძეს მამისა და სიმამრის

**გურამ ჩიკვილაძის**

გარდაცვალების გამო.

კომუნიკაცია

# პრეფიქსი „8“ გაითიშა

**პრეფიქსი „8“ გაითიშა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმაციით , პრეფიქსი „8“ შეიცვალა ეროვნული პრეფიქსით „0“ (ქვეყნის შიდა ზარებზე) და საერთაშორისო პრეფიქსით „00“.**

**გარდა ამისა, ოპერატორების არჩევის 8XX ფორმატის კოდი 10XX პრეფიქსული კოდებით შეიცვალა. მაგალითად, საერთაშორისო ოპერატორი 8-07 გახდა 10-07; საერთაშორისო ოპერატორი 8-16 გახდა 10-16; საერთაშორისო ოპერატორი 8-10 კი, 10-10 და სხვა.**

## კადრი



## ანეკდოტები



ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აკვარიუმთან ერთი პაციენტი დგას და თევზს გამუდმებით ჩასძახის:

— მომეცი სახლი, მანქანა, აგარაკი, რა, გენანება?

— ავადმყოფო, მოშორდი აკვარიუმს! თევზებს ლაპარაკი არ შეუძლიათ! — ეუბნება ექიმი.

— მეც ამას ვუმტკიცებ მთელი საათი, — ამბობს თევზი, — მაგრამ...

* * *

ებრაელს გაყიდვის აგენტად უნდა მუშაობის დაწყება.

— ჩვენი აგენტი ისეთი მოხერხებული უნდა იყოს, რომ შეძლოს, ესკიმოსებს აიძულოს მაცივრების შეძენა, — ეუბნება მას მომავალი შეფი.

— ოჰ, ეს რა პრობლემაა, ერთხელ შეიხს, რომელსაც სამასოცდაორი ცოლი ჰყავს, მივყიდე...

— შეიხისთვის მიყიდვა არ არის ძნელი...

— კი, „როლს-როისის“ მიყიდვა არ არის ძნელი, მაგრამ, აბა, სცადეთ და მიჰყიდეთ მას რეზინის გასაბერი ქალი...

* * *

მომავალი მეტწილად იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ, ან იმაზე, რას ვაკეთებთ ახლა, არამედ იმაზე, რაც უკვე გავაკეთეთ.

* * *

თუ გსურთ, რომ ცხოვრების აზრსა და ყოფის საწყისებზე თქვენი ფილოსოფიური აზრები ვინმემ უცერემონიოდ არ შეწყვიტოს, ტუალეტის კარი ჩაკეტეთ.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

# მუცლის გვრემანი



**არის ათასი და ერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება მუცელი გვტკიოდეს. მაგრამ ბევრი სიმპტომი სულაც არ არის უვნებელი, ზოგჯერ ჩვენ რომ გვგონია.**

### ძლიერი და მოულოდნელი

**დავიწყოთ მწვავე, ძლიერი მოულოდნელი ტკივილიდან. რას შეიძლება ეს ნიშნავდეს?**

**1-ლი ვარიანტი.** ყველაზე ხშირი და ბანალური — მწვავე ნაწლავური ინფექცია, ის, რასაც ჩვენს ყოფითს ენაზე საკვებით მოწამლვას ვუწოდებთ. მიზეზი აქ ყველაზე ხშირად სახეზეა: მივიღეთ გაფუჭებული პროდუქტი და აქედან დაიწყო: პირღებინება, კუჭის აშლა, ზოგჯერ ტემპერატურა.

ყველაზე ხშირად ამას დამოუკიდებლად ვუმკლავდებით: ვირეცხავთ კუჭს მანგანუმის სუსტი ხსნარით, ვიღებთ აქტივირებულ ნახშირს, ვსვამთ ბევრ წყალს — და ერთი-ორი დღის შემდეგ ყველაფერი გაივლის. თუმცა არის სერიოზული სიტუაციები, მაგალითად, ბოტულიზმი ან სალმონელეზი მოითხოვს საავადმყოფოში მკურნალობას.

**მე-2 ვარიანტი.** გაღიზიანებული კუჭნაწლავის სინდრომი — ეს არის არა ავადმყოფობა, არამედ, როგორც ექიმები ამბობენ, ფუნქციონალური მოშლილობა: თავისთავად კუჭნაწლავი ამ დროს ჯანსაღია, თუმცა დარღვეულია მისი მუშაობის პროგრამა. ამ შემთხვევაში ტკივილი ძლიერია, დამგრეხავი ან მწველი, რაც ტუალეტის შემდეგ სუსტდება. გაღიზიანებული კუჭნაწლავის სინდრომით დაავადებულები მუდმივად უნდა იყვნენ გასტროენტეროლოგის ყურადღების ქვეშ. მათთვის მთავარია დიეტა, პრეპარატების მიღება, რომლებსაც ექიმები ნიშნავენ კურსებად.

### ყურადღება, საგანგებო მდგომარეობაა!

**არის სიტუაციები, როდესაც მწვავე ტკივილების დროს აუცილებელია „სასწრაფოს“ დაუყოვნებლივი გამოძახება.**

**(!) აპენდიციტი.** მისი სიმპტომები ცნობილია. მაგრამ ერთი დაზუსტებაა საჭირო. ხშირად აპენდიციტის დროს ტკივილი თავდაპირველად ჩნდება მუცლის ცენტრში და მერე ეშვება ქვედა მარჯვენა კვადრატში.

**(!) კუჭნაწლავის გაუვალობა.** მაკანკალებელი, სპაზმატური ძლიერი ტკივილი, ხშირი პირღებინება, მუცლის ბერვა — სახიფათო სიმპტომებია, რომლებიც გვახსენებენ ამ სახიფათო მდგომარეობის შესახებ. ხშირად ასეთ შემთხვევებში აუცილებელია გადაუდებელი ქირურგიული დახმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი შეიძლება ლეტალურად დამთავრდეს.

**(!) ღვიძლის ჭვალი.** დამახასიათებელი სიმპტომია — მკვეთრი ძლიერი ტკივილი მარჯვენა მხარეს, რომელიც გადაეცემა ლავიწში, ბეჭში, კისრის ძირში. ავადმყოფს შეიძლება ჰქონდეს ნაღვლის ღებინება, ზოგჯერ იწევს ტემპერატურა. ყველაზე ხშირად ჭვალი ჩნდება ქვის ჩაჭედვით ნაღვლის ბუშტის ყელში, ნაღველსადენებში ან ინფექციის შეღწევით ნაღვლის ბუშტში. ამ დროს ავადმყოფს ხშირად სჭირდება ჰოსპიტალიზაცია, რათა სწრაფად გამოიკვლიონ და განსაზღვრონ მდგომარეობის სიმძიმე.

**(!) წყლულის (კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის) გახვრეტა.** ამ შემთხვევაში ავადმყოფს მოულოდნელად უჩნდება სისუსტის შეგრძნება, ჩნდება ცივი ოფლი, მკვეთრი და ძლიერი ტკივილი — „ხანჯლის დარტყმა“, მას ექიმები ასე ეძახიან. „გახსნილი“ წყლული ხვრეტს კუჭის კედელს, გამოედინება კუჭის წვენი, რომელიც „წვავს“ მუცლის აპკს და ინფექციის გამავრცელებელ საკვების ნარჩენებს. იწყებს განვითარებას მძიმე პერიტონიტი. საჭიროა სასწრაფო ოპერაცია.

**(!) მწვავე პანკრეატიტი.** ამ დროს ჩნდება მწვავე ტკივილი მუცლის ზედა ნაწილსა და ნეკნებქვეშ მარჯვნივ, და სწრაფად ვრცელდება მთელს მუცელზე. ხშირად ტკივილი შეიძლება იყოს გარშემომრტყმელი, გადადიოდეს ზურგზეც. ავადმყოფს აწუხებს გულისრევა, პირღებინება, მუცლის შებერილობა, ხშირად ტემპერატურა 39-40 გრადუსამდე ადის. მწვავე პანკრეატიტი საშიშია იმით, რომ შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი მასიური ნგრევები კუჭქვეშა ჯირკვალში და მიგვიყვანოს დაღუპვამდე.

### საიდუმლო ქრონიკული ავადმყოფი?

**ტკივილები — კუჭისა და კუჭნაწლავთა მრავალი ქრონიკული დაავადების უცილობელი სიმპტომია.** მაგალითად, გასტრიტისა და გასტროდუოდენიტის დროს ჩნდება ყრუ ან მწვავე ტკივილები მუცლის ზედა ნაწილში, რაც ძლიერდება ჭამის შემდეგ. თავდაპირველად ტკივილები მეორდება საკმაოდ იშვიათად, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ხდება თითქმის მუდმივი, თან ძლიერდება.

წყლულოვანი დაავადებისთვის დამახასიათებელია ყრუ ტკივილები მუცლის ზედა და საშუალო ნაწილში. კუჭის წყლულის დროს ტკივილი მუცელში ჩნდება ჭამის შემდეგ და ნელდება 1-2 საათის შემდეგ, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დროს ტკივილები მეორდება უზმოზე, ხშირად ღამით ან გამთენიისას და გადის ჭამის შემდეგ.

პრობლემა ისაა, რომ ხშირად ჩვენ თვითონ ვხდით ჩვენს თავს „საიდუმლო ქრონიკულ ავადმყოფებად“: მუცელში ქრონიკული ტკივილების გაჩენის დროს ვიწყებთ თვითმკურნალობას, ვღებულობთ ტკივილგამაყუჩებელ წამლებს, ფერმენტებს, ანტიციდურ და სხვა პრეპარატებს, რის შემდეგაც იწყება დროებითი შემსუბუქება, მაგრამ დაავადება აგრძელებს შეტევას და შედეგად მკურნალობა გვიწევს მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

### ქალური ამბები

**მუცლის ქვემო ნაწილში ყრუ, თუმცა სავსებით ასატანი ტკივილები ნაცნობია ბევრი ქალისთვის. ეს ხშირად ხდება თვიურების დროს, და ასეთ მდგომარეობას ისინი აღიქვამენ, როგორც ჩვეულებრივს. ტკივილები კი შეიძლება სულაც არ იყოს დაკავშირებული ციკლთან — ასე ჩნდება სერიოზული გინეკოლოგიური დაავადებანი: ენდომეტრიტი, სალცინგიტი, ოოფორიტი და სხვები.**

მსგავსი სიმპტომები შეიძლება გაჩნდეს ვენების ვარიკოზული გაფართოების, კოლიტის და ოსტეოართრიტის დროსაც კი.

მაგრამ ყველაზე საშიშია — მოულოდნელი მწვავე ტკივილები მუცლის ქვემოთ, განსაკუთრებით მენსტრუაციის 1-2 კვირით დაგვიანების დროს. ხშირად მათ თან ახლავს თავბრუს ხვევა, გულის რევა, სისხლის დენა. ეს შეიძლება იყოს საშვილოსნოსგარეშე ორსულობა ან თვითნებური აბორტის (მუცლის მოშლისძ დასაწყისი. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე სიტუაციაში აუცილებელია „სასწრაფოს“ დაუყოვნებლივი გამოძახება — დაყოვნება სახიფათოა ქალის სიცოცხლისთვის.

### მიზეზის მონახვა

**მაშ ასე, ტკივილები მუცელში შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი იყოს, როგორც „თანამგზავრი სიმპტომები“. და სანამ მკურნალობას დავიწყებდეთ, უნდა ვიცოდეთ სწორი დიაგნოზი.** ამისთვის კი აუცილებელია გავიაროთ შემდეგი გამოკვლევები: ჩავაბაროთ სისხლის (საერთო და ბიოქიმიურიძ და შარდის ანალიზი; გავიკეთოთ ელექტროკარდიოგრამა და მკერდისა და მუცლის არის მიმოხილვითი რენტგენოგრამები. ქალებმა უნდა მიმართონ გინეკოლოგებს.

ამის შემდეგ იწყება მიზნობრივი გამოკვლევები: მუცლის ღრუს ულტრაბგერითი, კონტრასტული რენტგენოლოგიური და ენდოსკოპური გამოკვლევები და ა.შ. და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს ექიმი მკურნალობას.

ХОРОШО

### უნდა ვიცოდეთ

**მუცლის ტკივილის დროს არ შეიძლება:**

- **სასაქმებელი საშუალებების, აცეტილსალიცილინის მჟავის ან სხვა ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღება, ოყნის გაკეთება;**
- **ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მიღება — ეს გაართულებს ტკივილების მიზეზების განსაზღვრას;**
- **მუცელზე თბილი სათბურის („გრელკის“) დადება — ამან შეიძლება სერიოზული გართულება გამოიწვიოს;**
- **ჭამა და სმა, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ საჭირო გახდეს ქირურგიული ოპერაცია.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24